ს.ს. გამოფენების ცენტრი

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 1

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება 3

ფულადი ნაკადების ანგარიშგება 4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1 ზოგადი ინფორმაცია 5
2 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა 6
3 ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ 12
4 ძირითადი საშუალებები 13
5 საინვესტიციო ქონება 14
6 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 15
7 გაცემული სესხები 16
8 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 16
9 სააქციო კაპიტალი 17
10 ნასესხები სახსრები 17
11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 19
12 ამონაგები 19
13 გამოფენებისა და ღონისძიებების ორგანიზების დანახარჯები 19
14 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები 19
15 სხვა საოპერაციო ხარჯები 20
16 სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, ნეტო 20
17 სახელმწიფო გრანტები 20
18 ფინანსური შემოსავალი 20
19 ფინანსური დანახარჯები 20
20 პირობითი მოვლენები და ვალდებულებები 20
21 დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და ნაშთები 21

22 ფინანსური ინსტრუმენტები 22
23 საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები.....22

სხვა ინფორმაცია

მმართველობის ანგარიშგება - კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ს.ს. „გამოფენების ცენტრის“ მესაკუთრეებსა და ხელმძღვანელობას

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ს.ს. „გამოფენების ცენტრის“ („კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად.

რისი აუდიტი ჩავატარეთ

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული წლის მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებას;
- ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას;
- ზემოაღნიშნული თარიღით დასრულებული წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგებას; და
- ფინანსურ ანგარიშგებაზე დართულ შენიშვნებს, მათ შორის ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვასა და სხვა განმარტებით ინფორმაციას.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - *„აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“* - ნაწილში.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

დამოუკიდებლობა

ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს *პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის* (ბესსს-ის კოდექსი) შესაბამისად. გარდა ამისა, შევასრულეთ ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად მომზადებულ მმართველობის ანგარიშგებას (მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას).

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, მმართველობის

ანგარიშგებას არსებითად შეუსაბამოა თუ არა ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

გარდა ამისა, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით გვევალება მოსაზრება გამოვთქვათ იმის შესახებ, მმართველობის ანგარიშგების გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და განვიხილოთ, მმართველობის ანგარიშგება მოიცავს თუ არა ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას.

თუ შესრულებული სამუშაოს შედეგებზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მმართველობის ანგარიშგებაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება ჩვენ მიერ შედგენილ აუდიტორის დასკვნაში. ამ თვალსაზრისით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის პროცესში შესრულებული სამუშაოს შედეგებიდან გამომდიარე ვაცხადებთ, რომ, ჩვენი აზრით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლის შესახებ, რომელსაც მოიცავს თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, შეესაბამება ამ ფინანსურ ანგარიშგებას; და
- მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მოიცავს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შეესაბამება სათანადო მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან ამ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების/ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის განზრახ არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.

- ჩვენ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.

- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

შპს „ფრაისვოთერჰაუსკუპერსი ჯორჯია ("PwC")" (რეგისტრაციის N: SARAS-F-775813)

ლაშა ჯანელიძე (რეგისტრაციის N: SARAS-A-562091)

2019 წლის 26 სექტემბერი
თბილისი, საქართველო

ს.ს. „გამოფენების ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	შენიშ-ვნები	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	33,959	30,445
საინვესტიციო ქონება	5	67,076	72,750
სხვა გრძელვადიანი აქტივები		56	56
სულ გრძელვადიანი აქტივები		**101,091**	**103,251**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		206	202
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,491	1,283
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	551	5,653
სულ მოკლევადიანი აქტივები		**2,248**	**7,138**
სულ აქტივები		**103,339**	**110,389**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	185	185
გაუნაწილებელი მოგება		96,242	93,565
სულ საკუთარი კაპიტალი		**96,427**	**93,750**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	4,762	9,351
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4,762**	**9,351**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	319	683
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,329	2,597
საინვესტიციო ქონების გაყიდვისთვის მიღებული ავანსები	5	495	3,500
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		7	508
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,150**	**7,288**
სულ ვალდებულებები		**6,912**	**16,639**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**103,339**	**110,389**

გამოსაცემად დამტკიცებულია და ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილია 2019 წლის 26 სექტემბერს:

_____	_____
რესან ქიქავა	ქეთევან ჯანგულაშვილი
დირექტორი	ფინანსური დირექტორი

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ს.ს. „გამოფენების ცენტრი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	შენიშ-ვნები	2018 წ. 31 დეკემბერი	2017 წ. 31 დეკემბერი
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	4	33,959	30,445
საინვესტიციო ქონება	5	67,076	72,750
სხვა გრძელვადიანი აქტივები		56	56
სულ გრძელვადიანი აქტივები		**101,091**	**103,251**
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები		206	202
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	6	1,491	1,283
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	8	551	5,653
სულ მოკლევადიანი აქტივები		**2,248**	**7,138**
სულ აქტივები		**103,339**	**110,389**
საკუთარი კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	9	185	185
გაუნაწილებელი მოგება		96,242	93,565
სულ საკუთარი კაპიტალი		**96,427**	**93,750**
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	4,762	9,351
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**4,762**	**9,351**
მოკლევადიანი ვალდებულებები			
ნასესხები სახსრები	10	319	683
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	11	1,329	2,597
საინვესტიციო ქონების გაყიდვისთვის მიღებული ავანსები	5	495	3,500
მოგების გადასახადის მიმდინარე ვალდებულება		7	508
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**2,150**	**7,288**
სულ ვალდებულებები		**6,912**	**16,639**
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		**103,339**	**110,389**

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ს.ს. „გამოფენების ცენტრი“

მოგება/ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (ათასი ლარი)

	შენიშვნები	2018 წ.	2017 წ.
ამონაგები	12	5,671	5,532
სახელმწიფო გრანტები	16	542	-
გამოფენებისა და ღონისძიებების ორგანიზების დანახარჯები	13	(1,818)	(962)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	14	(2,349)	(2,192)
მარკეტინგის ხარჯები		(155)	(145)
სხვა საოპერაციო ხარჯები	15	(1,279)	(1,292)
საოპერაციო მოგება		**612**	**941**
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან, ნეტო	5	4,511	11,515
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯი, ნეტო	17	(650)	(153)
ფინანსური შემოსავალი	18	106	30
ფინანსური დანახარჯები	19	(528)	(1,902)
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		**4,051**	**10,431**
მოგების გადასახადის ხარჯი		(207)	(621)
წლის მოგება		**3,844**	**9,810**
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ მოცემული წლის სრული შემოსავალი		**3,844**	**9,810**

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (ათასი ლარი)

	შენიშვნა	სააქციო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
2017 წლის 1 იანვრისთვის		**185**	**87,273**	**87,458**
წლის მოგება		-	9,810	9,810
სულ სრული შემოსავალი		-	9,810	9,810
გამოცხადებული დივიდენდები		-	(3,518)	(3,518)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის		**185**	**93,565**	**93,750**
წლის მოგება		-	3,844	3,844
სულ სრული შემოსავალი		-	3,844	3,844
გამოცხადებული დივიდენდები	9	-	(1,167)	(1,167)
2018 წლის 31 დეკემბრისთვის		**185**	**96,242**	**96,427**

5-23 გვერდებზე წარმოდგენილი თანდართული შენიშვნები ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

ს.ს. „გამოფენების ცენტრი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება (ათასი ლარი)

	Note	2018	2017
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
მოგება მოგების გადასახადით დაბეგვრამდე		4,051	10,431
კორექტირება შემდეგი მუხლების გათვალისწინებით:			
ძირითადი საშუალებების ცვეთა	4,15	536	632
შემოსულობა საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან	5	(4,511)	(11,515)
სავაჭრო მოთხოვნების ჩამოწერა/(აღდგენა)	15	102	(20)
სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი/(აღდგენა), ნეტო	6	(6)	229
ზარალი დაუმთავრებელი მშენებლობის (დმ)** გაუფასურებიდან	17	-	1,282
ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლიდან	17	-	295
მიღებული საავანსო თანხებით გამოწვეული ზარალის კომპენსაცია	17	-	1,241
გაცემულ გარანტიებთან დაკავშირებული დანახარჯი	17	-	304
ზარალი/(შემოსულობა) საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან, ნეტო	5	279	(3,638)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	4,17	-	414
საკურსო სხვაობებით განპირობებული (შემოსულობა)/ზარალი, ნეტო	18,19	(80)	1,021
საპროცენტო შემოსავალი		(26)	(30)
საპროცენტო ხარჯი	19	489	849
საოპერაციო მოგება საბრუნავი კაპიტალის ცვლილებებამდე		**834**	**1,495**
მარაგების ზრდა		(4)	(10)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების (ზრდა)/შემცირება		(345)	403
სავაჭრო და სხვა ვალდებულებების (შემცირება)/ზრდა		(1,258)	1,449
მიღებული პროცენტები		26	30
გადახდილი პროცენტები		(489)	(850)
გადახდილი მოგების გადასახადი		(709)	(694)
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან/(საოპე-რაციო საქმიანობაში გამოყენებული)		**(1,945)**	**1,823**
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შესყიდვა	4	(630)	(873)
საინვესტიციო ქონების შესყიდვა		(152)	-
სხვა გრძელვადიანი აქტივების შესყიდვა		-	(20)
ფინანსური მოთხოვნების შეძენა	6,7	-	(507)
კომპენსაციის გადახდა ძს * დაკავშირებით მიღებული საავანსო თანხებისთვის	17	-	(1,241)
გარანტიების გაცემისთვის გაწეული დანახარჯები	17	-	(304)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გასვლიდან	4	-	42
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	5	3,633	29,812
საინვესტიცი ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით დაბრუნებული საავანსო თანხები	5	-	(20,566)
ნეტო ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		**2,851**	**6,343**
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	10	292	10,032
ნასესხები სახსრების დაფარვა	10	(5,103)	(10,792)
გადახდილი დივიდენდები		(1,167)	(3,518)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		**(5,978)**	**(4,278)**
სავალუტო კურსების ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე, ნეტო		(30)	(7)
ფულადი სახსრებისა და მათი ეკვივალენტების ნეტო (შემცირება)/ზრდა		**(5,102)**	**3,881**
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისისთვის	8	5,653	1,772
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის		**551**	**5,653**

*ძს – ძირითადი საშუალებები

** დმ - დაუმთავრებელი მშენებლობა

1. ზოგადი ინფორმაცია

ს.ს. „გამოფენების ცენტრის“ (შემდგომში „კომპანია“) წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს-ის) შესაბამისად 2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის.

დიდუბე-ჩუღურეთის განყოფილების სასამართლომ კომპანია დაარეგისტრირა 1993 წლის 14 აპრილს, როგორც სააქციო საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაცო ნომერია: 201990104.

2018 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანიის აქციებს ფლობდა 50 ინდივიდუალური აქციონერი, რომელთაგან ექვსს ერთობლიობაში ეკუთვნოდა აქციების 98.4% (იხ. მე-9 შენიშვნა). არ არსებობს მხარე, რომელიც საბოლოოდ აკონტროლებს კომპანიას.

კომპანიის ძირითადი სამეწარმეო საქმიანობაა გამოფენების, ბაზრობებისა და მარკეტინგული ღონისძიებების ორგანიზება და ჩატარება. გარდა ამისა, კომპანია იჯარით გასცემს საოპერაციო საქმიანობისთვის აუთვისებელ შენობებს საოფისედ, ასევე სავაჭრო და სასაწყობე ფართებს. კომპანიის ყველანაირი საქმიანობა ხორციელდება საქართველოში.

კომპანია საქმიანობას ახორციელებს საფირმო ნიშნით „Expo Georgia“.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, წერეთლის გამზირი №118.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა

ამ ფინანსური ანგარიშგების შესადგენად გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები განხილულია ქვემოთ. ყველა ეს პოლიტიკა უცვლელად გამოიყენებოდა ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ ყველა წელს, თუ კონკრეტულად სხვა რამ არ არის მითითებული.

ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტისა (მსს ფასს)“ და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, რომელიც მოდიფიცირიებულია ძირითადი საშუალებების დასაშვები საწყისი ღირებულების შეფასებისა და საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებამდე გადაფასებით მიხედვით.

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების შედგენა საჭიროებს გარკვეული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. გარდა ამისა, საჭიროებს ხელმძღვანელობის მხრიდან განსჯასა და გადაწყვეტილების მიღებას კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში. ინფორმაცია ისეთი სფეროების შესახებ, რომლებიც განსაკუთრებით რთულია, ან მაღალი დონის განსჯა ესაჭიროება, ან სადაც გამოყენებული დაშვებები და სააღრიცხვო შეფასებები მნიშვნელოვანია მოცემული ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-3 შენიშვნაში.

უცხოურ ვალუტაში გამოსახული თანხების გადაყვანა. კომპანიის სამუშაო ვალუტაა იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც კომპანია საქმიანობს, კერძოდ, კომპანიის სამუშაო ვალუტაა საქართველოს ეროვნული ვალუტა, ლარი.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო თარიღისთვის გადაყვანილია ლარში, ამ თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტით განხორციელებული ოპერაციები აღრიცხულია ოპერაციის თარიღისთვის დადგენილი გასაცვლელი სავალუტო კურსით. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ამგვარი ოპერაციებისთვის განხორციელებული ანგარიშსწორების შედეგად და უცხოურ ვალუტაში გამოსახული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების ლარში გადაყვანით, აღიარებულია სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გასაცვლელი სავალუტო კურსი იყო:

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
აშშ დოლარი/ლარი	2.6766	2.5922
ევრო/ლარი	3.0701	3.1044

ამჟამად, ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას საქართველოს ფარგლებს გარეთ.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ანარიცხი იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს ობიექტური მტკიცებულებები იმისა, რომ კომპანია ვერ შეძლებს დავალიანების თანხის სრულად ამოღებას მოთხოვნების თავდაპირველი პირობების შესაბამისად.

მარაგები. მარაგები ასახულია თვითღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ, შეფასებულ გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს შესყიდვის და სხვა დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მარაგის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და ახლანდელ მდგომარეობაში მოსაყვანად.

ყოველი საანაგრიშგებო თარიღისთვის ხდება მარაგების შეფასება გაუფასურების გამოსავლენად. იმ შემთხვევაში, თუ მარაგი გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასამდე და მოგებაში ან ზარალში დაუყოვნებლივ აღიარდება გაუფასურების ზარალი.

ძირითადი საშუალებები. ძირითადი საშუალებები ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ცვეთისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით. მიწისა და შენობა-ნაგებობების თვითღირებულება მსს ფასს-ზე გადასვლის თარიღისთვის განისაზღვრა 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შეფასებული რეალური ღირებულების გათვალისწინებით, რომელიც განსაზღვრეს დამოუკიდებელმა შემფასებლებმა ამ თარიღისთვის („დასაშვები საწყისი ღირებულება“).

კომპანია ძირითადი საშუალების ობიექტის საბალანსო ღირებულებას მაშინ ამატებს მისი შემცვლელი ნაწილების თვითღირებულებას, როდესაც მოხდება შესაბამისი დანახარჯის გაწევა, თუ მოსალოდნელია, რომ შემცვლელი ნაწილი კომპანიას მომავალში მოუტანს დამატებით სარგებელს. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. სარემონტო და ტექმომსახურებასთან დაკავშირებული

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ყველა სხვა დანახარჯი აისახება მოგებაში ან ზარალში იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც დანახარჯები გაიწევა.
მიწასა და დაუმთავრებელ მშენებლობას ცვეთა არ ერიცხება. სხვა აქტივებს ცვეთა იმგვარად ერიცხება, რომ აქტივების თვითღირებულება, ნარჩენი ღირებულების გამოკლებით, განაწილდეს მათ შეფასებულ სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კერძოდ, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითადი საშუალებების შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადები მერყეობს შემდეგ საზღვრებში:

- შენობა-ნაგებობები 10 – 55 წელი
- მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 5– 25 წელი
- ავტომანქანები 10 – 15 წელი
- ინვენტარი და აღჭურვილობა 2– 20 წელი

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადები და ცვეთის მეთოდები იმ შემთხვევაში გადაიხედება და პერსპექტიულად დაკორექტირდება, თუ არსებობს ნიშანი იმისა, რომ ისინი მნიშვნელოვნად შეიცვალა ბოლო საანგარიშგებო თარიღის შემდეგ.

აქტივის საბალანსო ღირებულება დაუყოვნებლივ ჩამოიწერება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება უფრო მეტია, ვიდრე მისი შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა და ზარალი განისაზღვრება შემოსულობის შედარებით საბალანსო ღირებულებასთან და სხვაობა აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

არამატერიალური აქტივები. კომპანიის არამატერიალურ აქტივებს შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს და ძირითადად მოიცავს შეძენილი კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიებს, რომლებიც ასახულია თვითღირებულებით, დაგროვილი ამორტიზაციის გამოკლებით.

არამატერიალურ აქტივების ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით, მათი შეფასებული სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, იმ თარიღიდან, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება. შეფასებულია, რომ კომპიუტერული პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიების სასარგებლო მომსახურების ვადა იქნება 5 წელი.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება ისეთი ქონებაა, რომელსაც კომპანია ფლობს საიჯარო შემოსავლების მიღების, ან ღირებულების გაზრდის, ან ორივე მიზნით და კომპანიას არ აქვს თვითონ დაკავებული/გამოყენებული. საინვესტიციო ქონება მოიცავს მშენებარე აქტივებსაც, რომლებიც გამიზნულია მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოსაყენებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით და შემდგომში ხელახლა შეფასდება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რომლითაც შეიძლება ქონება გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში. „გარიგების მსურველი გამყიდველი“ არ არის იძულებული გამყიდველი, რომელიც მზად არის ქონება გაყიდოს ნებისმიერ ფასად. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის მქონე ანალოგიური ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები. თუ არ არსებობს აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასები, კომპანია ითვალისწინებს სხვადასხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას, მათ შორის:

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

ა) განსხვავებული ხასიათის, მდგომარეობის ან განსხვავებულ ადგილას მდებარე ქონების აქტიური ბაზრის მიმდინარე ფასებს, რომლებიც დაკორექტირდება ამ განსხვავებების ასახვის მიზნით;

ბ) ანალოგიური ქონების ნაკლებად აქტიური ბაზრების უახლესი პერიოდის ფასებს რომლებიც დაკორექტირდება ეკონომიკურ პირობებში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით იმ ოპერაციების თარიღის შემდეგ, რომლებიც განხორციელდა ამ ფასებით; და

გ) დისკონტირებული ფულადი ნაკადების პროგნოზებს, რომლებიც ეყრდნობა მომავალი ფულადი ნაკადების საიმედო შეფასებებს და დასაბუთებულია არსებული საიჯარო და სხვა ხელშეკრულებების პირობებით და (როდესაც შესაძლებელია) გარე მტკიცებულებებით, როგორიცაა იმავე ადგილას მდებარე და იმავე მდგომარეობის ანალოგიური ქონების მიმდინარე საბაზრო საიჯარო ქირები და დისკონტირებულია ისეთი დისკონტირების განაკვეთების გამოყენებით, რომლებიც ასახავს ფულადი ნაკადების სიდიდესა და მათი წარმოქმნის დროსთან დაკავშირებული განუსაზღვრელობის მიმდინარე საბაზრო შეფასებებს.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების საფუძველზე, რომელთაც გააჩნიათ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და უახლესი პერიოდის გამოცდილება ანალოგიურ ადგილას მდებარე ანალოგიური კატეგორიის ქონების შეფასების საკითხში.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში ამონაგების შემადგენლობაში. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილების შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში და წარდგენილია განცალკევებით.

საინვესტიციო ქონების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა ან ზარალი გამოითვლება შემოსულობიდან საბალანსო ღირებულების გამოკლებით. როდესაც კომპანია ქონებას ასხვისებს რეალური ღირებულებით, „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით განხორციელებული ოპერაციის ფარგლებში, ქონების საბალანსო ღირებულება, რომელიც მას ჰქონდა უშუალოდ გაყიდვის წინ, დაკორექტირდება გარიგების ფასამდე და კორექტირების თანხა აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში, საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებამდე კორექტირების შედეგად წარმოქმნილი ნეტო შემოსულობის შემადგენლობაში.

თუ საინვესტიციო ქონება ხდება მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება, იგი რეკლასიფიცირდება, როგორც ძირითადი საშუალება და რეკლასიფიკაციის თარიღისთვის არსებული მისი საბალანსო ღირებულება გახდება ამ ქონების დასაშვები საწყისი ღირებულება სააღრიცხვო მიზნებისთვის.

შემდგომი დანახარჯები აქტივის საბალანსო ღირებულებაში მხოლოდ იმ შემთხვევაში კაპიტალიზდება, როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ დანახარჯებთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და შესაძლებელია დანახარჯების საიმედოდ შეფასება. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის სარემონტო და ტექმომსახურებასთან, გაწევისთანავე აისახება, როგორც ხარჯი.

მარაგების გარდა სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურება. ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ხდება ცვეთადი და ამორტიზებადი აქტივების შეფასება იმის დასადგენად, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი მათი გაუფასურების. თუ არსებობს რაიმე ნიშანი, რომ ესა თუ ის აქტივი შესაძლოა გაუფასურებული იყოს, შემოწმდება ამ აქტივის (ან იმ ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის,

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელსაც მოცემული აქტივი განეკუთვნება) საბალანსო ღირებულება გაუფასურებაზე. გაუფასურების ზარალი აღიარდება იმ ოდენობით, რომლითაც მისი საბალანსო ღირებულება აღემატება ანაზღაურებად ღირებულებას. ანაზღაურებადი ღირებულება არის უდიდესი აქტივის (ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის) გამოყენების ღირებულებასა და გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ რეალურ ღირებულებას შორის. გაუფასურების შეფასების მიზნით აქტივები ჯგუფდება ყველაზე დაბალ დონეებზე, რომელთათვისაც არსებობს განცალკევებით იდენტიფიცირებადი ფულადი ნაკადები (ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულები). გაუფასურებული არაფინანსური აქტივები, გუდვილის გარდა, ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის განიხილება გაუფასურების შესაძლო აღდგენის დადგენის მიზნით.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით და შემდგომში შეფასდება ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

ანარიცხები ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის. ვალდებულებებისა და დანახარჯებისთვის შექმნილი ანარიცხები არაფინანსური ვალდებულებებია, რომელთა დაფარვის ვადა ან ოდენობა გაურკვეველია. მათი დარიცხვა მაშინ ხდება, როდესაც კომპანიას აქვს წარსული მოვლენების შედეგად წარმოქმნილი მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება; მოსალოდნელია, რომ მის დასაფარად აუცილებელი იქნება კომპანიიდან რესურსების გასვლა, რომელშიც განივთებულია ეკონომიკური სარგებელი; და ვალდებულების ოდენობის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. თუ შედეგი არსებითია, ანარიცხები განისაზღვრება სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით დაბეგვრამდელი განაკვეთით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების მიმდინარე საბაზრო შეფასებებს და, აუცილებლობის შემთხვევაში, კონკრეტული ვალდებულებისთვის დამახასიათებელ რისკებს.

სააქციო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. წილობრივი ინსტრუმენტების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა რესურსების რეალური ღირებულებით, რომელსაც აკლდება წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებასთან დაკავშირებული პირდაპირი დანახარჯები. თუ გადახდა გადავადებულია და ფულის დროითი ღირებულება არსებითია, მათი თავდაპირველი შეფასება ეყრდნობა დღევანდელ ღირებულებას.

ამონაგების აღიარება. ამონაგები მოიცავს კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში საქონლის გაყიდვისთვის მიღებული ან მისაღების ანაზღაურების რეალურ ღირებულებას. ამონაგები ნაჩვენებია დამატებული ღირებულების გადასახადის, დაბრუნებული საქონლის ღირებულების, კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო და სხვა სახის ფასდათმობების გარეშე.

კომპანია მაშინ აღიარებს ამონაგებს, როდესაც: შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება; მოსალოდნელია, რომ კომპანიაში შემოვა მომავალი ეკონომიკური სარგებელი; და დაკმაყოფილებულია კომპანიის თითოეული საქმიანობისთვის შესაფერისი სპეციფიკური კრიტერიუმები, როგორც აღწერილია ქვემოთ:

საგამოფენო მომსახურებიდან მიღებული ამონაგები მაშინ აღიარდება, როდესაც კომპანია სრულად დაფარავს გამოფენების, ბაზრობებისა და მარკეტინგული ღონისძიებების მონაწილეებთან გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

მესამე მხარეებზე საოპერაციო იჯარით გადაცემული საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი აღიარდება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში და აისახება ამონაგებში.

საპროცენტო შემოსავალი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

სახელმწიფო გრანტები. სახელმწიფოსგან მიღებული გრანტები აღიარდება რეალური ღირებულებით მაშინ, როდესაც არსებობს დასაბუთებული რწმუნება იმისა, რომ გრანტი მიღებადია და კომპანია შეასრულებს გრანტზე დართულ ყველა პირობას.

დანახარჯებთან დაკავშირებული სახელმწიფო გრანტები აღიარდება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მოხდება შესაბამისი დანახარჯების გაწევა, რათა გრანტი შესაბამისობაში მოვიდეს იმ დანახარჯებთან, რომლის ასანაზღაურებლადაც არის განკუთვნილი.

მოგებიდან გადასახადები. მოგებიდან გადასახადები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულია კანონმდებლობის იმ დებულებების შესაბამისად, რომლებიც ძალაში შესულია ან არსებითად ძალაში შესულია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

2016 წლის 13 მაისს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის მიერ საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები, რომლის თანახმად კომპანიებს (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდების გარდა) არ ევალებათ მოგების გადასახადის გადახდა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, სანამ ეს მოგება არ განაწილდება დივიდენდის სახით ან კომპანიას არ ექნება დივიდენდების სახით მათი განაწილების განზრახვა.

მოგების გადასახადი 15%-იანი განაკვეთით გადასახდელია გადაანგარიშებული ღირებულებიდან (ე.ი. წმინდა დივიდენდების ოდენობა უნდა გადაანგარიშდეს 5%-ის ტოლი საგადასახადო განაკვეთის დაკავებით, თუ შესაფერისია და მიღებული თანხა გაიყოს 0.85-ზე), ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე დივიდენდების გაცემის მომენტში. დივიდენდები, რომლებიც რეზიდენტ იურიდიულ პირებზე გაიცემა 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ მიღებული მოგებიდან, გათავისუფლებულია გადასახადისგან.

2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე საანგარიშგებო პერიოდებში დაგროვილი მოგებიდან გაცემული დივიდენდები მოგების გადასახადით იბეგრება გადაანგარიშებული ღირებულების მიხედვით, რომელსაც აკლდება შესაბამისი საგადასახადო კრედიტი, გამოთვლილი, როგორც დასაბეგრი მოგების მიხედვით დარიცხული და გადახდილი მოგების გადასახადის ხვედრითი წილი იმავე პერიოდის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასანაწილებელ დივიდენდებზე. თუმცა, საგადასახდო კრედიტის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მოგების გადასახადის ფაქტობრივ ოდენობას, რომლითაც დაიბეგრა განაწილებული დივიდენდები.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც გამოცხადდა დივიდენდები, დივიდენდების გაცემის ფაქტობრივი თარიღის ან იმ პერიოდის მიუხედავად, რომლისთვისაც ხდება დივიდენდების გადახდა. აქედან გამომდინარე, კომპანიამ 2016 წლის 31 დეკემბრისთვის შეწყვიტა ყველა გადავადებული საგადასახადო აქტივისა და ვალდებულების აღიარება და შესაბამისი გავლენა ასახა 2016 წელს მოგებასა და ზარალში. მოგების გადასახადის პირობითი ვალდებულება, რომელიც წარმოიქმნებოდა დივიდენდების გადახდის შემთხვევაში, არ აღიარდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

დივიდენდების განაწილების შემთხვევის გარდა, გადასახადი გადაიხდება ხარჯების ან სხვა დარიცხული გადასახდელი თანხების მიხედვით, რომლებიც დაკავშირებული არ არის ეკონომიკურ საქმიანობასთან, ასევე აქტივების ან მომსახურების უსასყიდლოდ მიწოდებასა და წარმომადგენლობით დანახარჯებთან დაკავშირებით, რომლებიც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილ მაქსიმალურ ოდენობას. გადასახადით დაუყოვნებლივ იბეგრება იმ სუბიექტებისთვის გადახდილი ყველა საავანსო თანხა, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან შეღავათიანი საგადასახადო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მოკლე მიმოხილვა (გაგრძელება)

რეჟიმის მქონე იურისდიქციებში, ასევე ამგვარ სუბიექტებთან ერთად განხორციელებული გარკვეული ოპერაციები და ფიზიკურ პირებსა და არარეზიდენტ სუბიექტებზე გაცემული სესხები. ამგვარი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, ისეთ აქტივებთან ან მომსახურებასთან დაკავშირებით მოთხოვნილი საგადასახადო შეღავათების გამოკლებით, რომელიც კომპანიამ მიიღო შეღავათიანი საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში რეგისტრირებული სუბიექტებისთვის გადახდილი საავანსო თანხების სანაცვლოდ, ან ფიზიკურ პირებსა თუ არარეზიდენტ სუბიექტებზე გაცემული სესხების დაბრუნება აისახება ნაწილში „გადასახადები“, საოპერაციო ხარჯების ფარგლებში მიღებულ შემოსავალთან დაკავშირებული გადასახადების გარდა.

დამატებული ღირებულების გადასახადი. რეალიზაციასთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი საგადასახადო ორგანოსთვის გადასახდელია შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელი თარიღით (ა) მომხმარებლებისგან მოთხოვნების თანხების ამოღება ან (ბ) მომხმარებლებისთვის საქონლის ან მომსახურების მიწოდება. შესყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი, როგორც წესი, ანაზღაურდება ჩათვლით, რეალიზაციასთან დაკავშირებულ დღგ-სთან მიმართებით, დღგ-ს ანაზღაურების ინვოსისის მიღების მომენტში. საგადასახადო ორგანოები დღგ-ს ანგარიშსწორების უფლებას იძლევა ნეტო საფუძველზე. შესაბამისად, რეალიზაციასა და შესყიდვებთან დაკავშირებული დღგ, რომელიც საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არ არის დაფარული, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ნეტო საფუძველზე.

დივიდენდების განაწილება. კომპანიის აქციონერებზე დივიდენდების განაწილება აღიარდება, როგორც იმ პერიოდის ვალდებულება, რომელშიც კომპანიის აქციონერები დაამტკიცებენ დივიდენდებს.

გაცემული სესხები. გაცემული სესხები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, გაუფასურების ზარალის ანარიცხის გამოკლებით.

ფინანსური ანგარიშგების შეცვლა გამოცემის შემდეგ. ნებისმიერი ცვლილების შეტანა წინამდებარე ანგარიშგებაში მისი გამოცემის შემდეგ საჭიროებს კომპანიის ხელმძღვანელობის იმ წარმომადგენლების მხრიდან დამტკიცებას, რომლებსაც გააჩნიათ ამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემის უფლებამოსილება.

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ

ხელმძღვანელობა განსაზღვრავს/ანგარიშობს გარკვეულ შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. ამ შეფასებებს, დაშვებებსა და განსჯის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებებს ხელმძღვანელობა მუდმივად განიხილავს და აფასებს, საკუთარი გამოცდილებისა და სხვა ფაქტორების საფუძველზე, მათ შორის სავარაუდო მომავალი მოვლენების ფონზე, რომელთა მოხდენაც, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია არსებული გარემოებებისდა მიხედვით. ამასთან, სააღრიცხვო პოლიტიკების გამოყენების პროცესში ხელმძღვანელობა სხვა გადაწყვეტილებებსაც იღებს, რომლებიც დაკავშირებული არ არის შეფასებების განსაზღვრასთან. ქვემოთ განხილულია ხელმძღვანელობის განსჯის შედეგად მიღებული ისეთი გადაწყვეტილებები, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ თანხებზე, ასევე შეფასებები, რომლებსაც მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებების მნიშვნელოვნად შეცვლა შეუძლია:

ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითადი საშუალების ამა თუ იმ ობიექტის სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება ხელმძღვანე

3. ინფორმაცია განუსაზღვრელობის შეფასებისა და ხელმძღვანელობის მსჯელობის ძირითადი წყაროების შესახებ (გაგრძელება)

ლობის განსჯის საგანია და ეყრდნობა ანალოგიური აქტივების გამოცდილებას. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის დადგენისას ხელმძღვანელობა ითვალისწინებს მოცემული აქტივის მოსალოდნელი გამოყენების წესს, მისი ტექნიკური მოძველების შეფასებას, ფიზიკურ ცვეთასა და ფიზიკურ გარემოს, რომელშიც აქტივი გამოიყენება. ამ პირობებიდან ან შეფასებებიდან რომელიმეს შეცვლამ შესაძლოა გამოიწვიოს მომავალ პერიოდებში ცვეთის განაკვეთების კორექტირება.

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონების ობიექტები ასახულია რეალური ღირებულებებით, რომლებიც ეყრდნობა დამოუკიდებელი შემფასებლის, Baker Tilly Georgia-ს მიერ მომზადებულ შეფასების ანგარიშებს. კომპანიის საინვესტიციო ქონების შესახებ შეფასების ანგარიშების მომზადების პროცესში გარე შემფასებელს შესადარისი გაყიდვების ფასების განხილვისას არ გაუთვალისწინებია იძულებითი გაყიდვები. საინვესტიციო ქონების თითოეული ობიექტისთვის სამი საბაზრო ანალოგი განისაზღვრა. ვინაიდან ანალოგები გარკვეულწილად განსხვავდებოდა შეფასებული ქონებისგან, ანალოგი ობიექტების კოტირებული ფასები დაკორექტირდა მათი ადგილმდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, ხელმისაწვდომობისა და ასაკის განსხვავებებისა და მოსალოდნელი ფასდაკლებების გათვალისწინებით, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მომწოდებლებთან მოლაპარაკებების გზით. ამგვარად განისაზღვრა ერთი კვადრატული მეტრის შესადარისი ფასები და შემდეგ გამრავლდა შეფასებული ქონების ფართობზე, რის შედეგადაც მიღებულ იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეყრდნობა კონკრეტული მომხმარებლების მიმართ არსებული მოთხოვნების ამოღების შესაძლებლობის კომპანიის მიერ განხორციელებულ შეფასებას. თუ გაუარესებულია მთავარი მომხმარებლის გადახდისუნარიანობა ან ვალდებულებების ფაქტობრივი შეუსრულებლობის დონე შეფასებებზე უფრო მაღალია, მოთხოვნების ფაქტობრივი ანგარიშები განსხვავებული იქნება ამ შეფასებებისგან. თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშები გაუფასურებულია, მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ, იგი მოთხოვნების ამ ანგარიშს გააერთიანებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე მოთხოვნების ანგარიშების ჯგუფში და ერთად შეაფასებს ამ ჯგუფის გაუფასურებას. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის მიერ განსაზღვრული შეფასებები მომავალში შეიძლება გადაისინჯოს და შეიცვალოს უარყოფითად ან დადებითად, ფაქტობრივი შედეგების ან თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების გათვალისწინებით განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგების მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ თავისი მოლოდინები.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	ავტომანქანები	ინვენტარი და აღჭურვილობა	დმ* და სხვა	სულ
თვითღირებულება						
2017 წლის 1 იანვრისთვის	**25,779**	**1,343**	**243**	**1,345**	**1,282**	**29,992**
შემოსვლა	738	36	50	49	-	873
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში (შენიშვნა 5)	(2,321)	-	-	-	-	(2,321)
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან (შენიშვნა 5)	8,025	-	-	-		8,025
გასვლა	(279)	(8)	(99)	(1)	(1,282)	(1,669)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**31,942**	**1,371**	**194**	**1,393**	**-**	**34,900**
შემოსვლა	435	23	-	172	-	630
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან (შენიშვნა 5)	3,420	-	-	-	-	3,420
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**35,797**	**1,394**	**194**	**1,565**	**-**	**38,950**
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია						
2017 წლის 1 იანვრისთვის	**1,451**	**969**	**138**	**1,252**	**-**	**3,810**
წლიური ცვეთა	347	110	59	116	-	632
გაუფასურება	414	-	-	-	-	414
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში (შენიშვნა 5)	(351)	-	-	-	-	(351)
გასვლა	-	(2)	(48)	-	-	(50)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,861**	**1,077**	**149**	**1,368**	**-**	**4,455**
წლიური ცვეთა	385	27	12	112	-	536
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**2,246**	**1,104**	**161**	**1,480**	**-**	**4,991**
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 1 იანვრისთვის	24,328	374	105	93	1,282	26,182
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	30,081	294	45	25	-	30,445
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**33,551**	**290**	**33**	**85**	**-**	**33,959**

(დმ* - დაუმთავრებელი მშენებლობა)

4. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2018 წელს კომპანიამ საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ძირითადი საშუალებების კატეგორიაში გადაიტანა 3,006 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, რომლის მთლიანი საბალანსო ღირებულება იყო 2,766 ათასი ლარი, მისი (ქონების) გამოყენების წესის ცვლილების გამო.

2017 წელს კომპანიამ #1, #2 და #9 პავილიონები, რომელთა მთლიანი საბალანსო ღირებულება იყო 1,970 ათასი ლარი, ძირითადი საშუალებების კატეგორიიდან გადაიტანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში, ამ ობიექტების (ქონების) გამოყენების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით.

1,282 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე დაუმთავრებელი მშენებლობის გასვლა მოიცავს ახალი გამოფენების ცენტრის მშენებლობის დაპროექტებისა და კომპანიის ქონების გაუმჯობესების კონცეპტუალური გეგმის შედგენის დანახარჯებს, რომლის მშენებლობა დაწყებული იყო მიწის ნაკვეთზე, რომელიც კომპანიამ გაყიდა 2017 წელს (იხ. მე-5 შენიშვნა).

გირაოში ჩადებული აქტივების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-20 შენიშვნა.

5. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

	შენიშვნა	2018 წ.	2017 წ.
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით 1 იანვრის მდგომარეობით		**72,750**	**89,964**
შემოსვლა		152	-
გაყიდვა		(6,917)	(22,674)
გადატანა ძირითადი საშუალებების კატეგორიიდან	4	-	1,970
გადატანა ძირითადი საშუალებების კატეგორიაში	4	(3,420)	(8,025)
რეალური ღირებულების შემოსულობა ზარალის გამოკლებით		4,511	11,515
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით, 31 დეკემბრის მდგომარეობით		**67,076**	**72,750**

საინვესტიციო ქონება ძირითადად მოიცავს მიწის ნაკვეთებსა და პავილიონებს, რომლებიც განკუთვნილია კომპანიის მიერ იჯარით გასაცემად.

2018 წელს კომპანიამ მესამე მხარეებს 2,800 ათას აშშ დოლარად (6,638 ათასი ლარის ეკვივალენტი) მიჰყიდა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 6,549 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 6,917 ათას ლარს. კომპანიამ ასახა ამ საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად მიღებული ნეტო ზარალი 279 ათასი ლარი.

2017 წელს კომპანიამ ძირითადი საშუალებების კატეგორიაში გადაიტანა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 3.006 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 2,766 ათას ლარს, ამ ქონების გამოყენების წესის შეცვლის გამო.

5. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

2017 წლის ნოემბერსა და დეკემბერში კომპანიამ მესამე მხარეებს 8,567 ათას აშშ დოლარად (26,312 ლარის ეკვივალენტი) მიჰყიდა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 24,131 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 22,674 ათას ლარს. კომპანიამ ასახა ამ საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად მიღებული ნეტო შემოსულობა 3,638 ათასი ლარი.

2017 წელს კომპანიამ ძირითადი საშუალებების კატეგორიაში გადაიტანა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 8,541 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 8,025 ათას ლარს, ამ ქონების გამოყენების წესის/მიზნის შეცვლის გამო.

2016 წლის 30 ნოემბერს კომპანიამ ს.ს. თიბისი ბანკთან გააფორმა ხელშეკრულება (რომელიც შეიცვალა 2016 წლის 8 დეკემბერს), რომლის თანახმად 39,500 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის მთლიანი ფასი განისაზღვრა 8,290 ათასი აშშ დოლარი (21,338 ათასი ლარის ეკვივალენტი). ს.ს. თიბისი ბანკმა 2016 წელს გადაიხადა ამ მიწის ნაკვეთის მთლიანი ფასის ნაწილი, 7,990 ათასი აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 300 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 2017 წლის 30 აგვისტოს. ხელშეკრულების შესაბამისად, ს.ს. თიბისი ბანკი მაშინ განაცხადებდა უარს ამ მიწის ნაკვეთის გირაოზე, როდესაც კომპანია სრულად დაფარავდა მისთვის გადახდილ საავანსო თანხას. 2016 წლის 8 დეკემბერს კომპანიამ ხელი მოაწერა დამატებით ხელშეკრულებებს და კომპანიას გადაეცა შპს „Sotlemant Management“-ის ყველა დაუფარავი ვალდებულება (8,599 ათასი აშშ დოლარი, 22,759 ათასი ლარის ეკვივალენტი), რომელიც გააჩნდა ს.ს. თიბისი ბანკის მიმართ და იმავე თარიღისთვის სრულად დაიფარა. 2017 წელს კომპანიამ მოიძია ამ ქონების სხვა მყიდველი. 2017 წელს კომპანიამ ს.ს. თიბისი ბანკს სრულად დაუბრუნა საინვესტიციო ქონებისთვის მისთვის გადახდილი საავანსო თანხები.

საინვესტიციო ქონება ასახულია რეალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრულია გარე შემფასებლის მიერ.

გირაოში ჩადებული აქტივების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-20 შენიშვნა.

კომპანიის მიერ მომდევნო პერიოდში გაყიდული საინვესტიციო ქონების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 23-ე შენიშვნა.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	959	1,084
სხვა ფინანსური მოთხოვნები	507	507
გამოკლებული გაუფასურების ზარალის ანარიცხი	(312)	(318)
სულ ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	**1,154**	**1,273**
გადახდილი ავანსი	337	10
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,491**	**1,283**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის ანარიცხის ცვლილება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:

	2018	2017
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	**318**	**89**
გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში, ნეტო	(6)	229
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**312**	**318**

7. გაცემული სესხები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შპს „Sotlemant Management“-ზე გაცემული სესხი 2,120 ათასი ევრო	5,262	5,262
შპს „Sotlemant Management“-ზე გაცემული სესხი 8,599 ათასი აშშ დოლარი	22,759	22,759
გამოკლებული: ანარიცხი გაცემული სესხებისთვის	(28,021)	(28,021)
სულ გაცემული სესხები	**-**	**-**

შპს „Sotlemant Management“-თან 2015 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად (რომელმაც ჩაანაცვლა 2015 წლის 25 ივნისით, 2015 წლის 30 ივლისითა და 2015 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული წინა ხელშეკრულებები, შესაბამისად), კომპანიამ გასცა 2,120 ათასი ევროს ოდენობის სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთია 11%, პროცენტი გადასახდელია ყოველთვიურად და სესხის დაფარვის ვადაა 2025 წლის 20 ოქტომბერი.

2016 წლის 8 დეკემბერს კომპანიამ ხელი მოაწერა ს.ს. თიბისი ბანკთან და შპს „Sotlemant Management“-თან ხელშეკრულებებს, რომელთა თანახმად კომპანიას გადაეცა შპს „Sotlemant Management“-ის ყველა დაუფარავი ვალდებულება (8,599 ათასი აშშ დოლარი, 22,759 ათასი ლარის ეკვივალენტი), რომელიც გააჩნდა ს.ს. თიბისი ბანკის მიმართ, რაც კომპანიამ სრულად დაფარა. იხ. მე-5 შენიშვნა.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	2	10
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	549	-
შემნახველი ანგარიში ბანკში	-	5,643
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**551**	**5,653**

9. სააქციო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

გამოსაშვებად ნებადართული აქციების რაოდენობა	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები (ათასი ლარი)
97,294	97,294	185

ყველა გამოშვებული აქცია მთლიანად ანაზღაურებულია და ყველა მათგანს საერთო კრებებზე ხმის მიცემისა და დივიდენდების მიღების თანაბარი უფლება აქვს.

კომპანიის აქციების მესაკუთრეები არიან:	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბ-ონ. დავით ახვლედიანი	24.58%	24.58%
ბ-ონ. ამირან ბურჭულაძე	22.58%	22.58%
ბ-ონ. კახაბერ გველესიანი	24.58%	24.58%
ბ-ონ. თეიმურაზ ჩიხლაძე	12.75%	12.75%
ბ-ონ. ლადო ჩიხლაძე	11.83%	11.83%
ქალბ-ონ. ნატალია ბონდარენკო	2.00%	2.00%
სხვა კერძო პირები	1.68%	1.68%

2018 წლის 9 მარტს კომპანიამ გამოაცხადა 1,167 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები და 2018 წლის განმავლობაში სრულად გასცა.

2017 წლის 25 იანვარს კომპანიამ გამოაცხადა 268 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები და 2017 წლის 27 დეკემბერს სრულად გასცა.

2017 წლის 1 დეკემბერს კომპანიამ გამოაცხადა 3,250 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები და 2017 წლის 27 დეკემბერს სრულად გასცა.

2017 წელს კომპანიის საკუთრების სტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ბ-ონმა თეიმურაზ ჩიხლაძემ თავისი კუთვნილი სააქციო წილის 11.83% გადასცა ბ-ონ ლადო ჩიხლაძეს;
- ბ-ონმა ამირან ბურჭულაძემ თავისი კუთვნილი სააქციო წილის 2.00% გადასცა ქალბატონ ნატალია ბონდარენკოს.

10. ნასესხები სახსრები

	დაფარვის თარიღი	% წლიური	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი:				
ს.ს. თიბისი ბანკი – 3,276,000 ევრო	22 ოქტომბერი 2027	7.8%	241	683
ს.ს. თიბისი ბანკი – 200,000 ევრო	17 დეკემბერი 2024	7.8%	78	-
სულ მოკლევადიანი:			**319**	**683**
გრძელვადიანი:				
ს.ს. თიბისი ბანკი – 3,276,000 ევრო	22 ოქტომბერი 2027	7.8%	4,537	9,351
ს.ს. თიბისი ბანკი – 200,000 ევრო	17 დეკემბერი 2024	7.8%	225	-
სულ გრძელვადიანი:			**4,762**	**9,351**
სულ ნასესხები სახსრები			**5,081**	**10,034**

2018 წელს კომპანიამ ორჯერ განახორციელა ს.ს. თიბისი ბანკიდან აღებული სესხის (#435306-9249847-3,275,834 ევრო) რესტრუქტურიზაცია. 2018 წლის 22 მარტს კომპანიამ შეათანხმა სესხის დაფარვის შეცვლილი გრაფიკი. 2019 წლის 17 დეკემბერს საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 8.5%-დან 7.8%-მდე.

2018 წლის 18 აპრილს კომპანიამ საოპრაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით ს.ს. თიბისი ბანკიდან აიღო ახალი სესხი (#435306-9780437 - 200,000 ევრო), რომლის საპროცენტო განაკვეთი იყო 8.5%, ხოლო დაფარვის თარიღი – 2018 წლის 10 ივლისი. მოგვიანებით ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2021 წლის 18 აპრილამდე. 2018 წლის 17დეკემბერს შეიცვალა სესხის დანიშნულება, კერძოდ, სესხის მიზანი გახდა კაპიტალური ხარჯების დაფინანსება, საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 7.8%-მდე, ხოლო დაფარვის თარიღი გახანგრძლივდა 2024 წლის 17 დეკემბრამდე.

2017 წლის 3 ნოემბერს კომპანიამ განახორციელა ს.ს. თიბისი ბანკის არსებული სესხის (#494886 - 3,800,000 ევრო) რესტრუქტურიზაცია. საპროცენტო განაკვეთი 9%-დან 8.5%-მდე შემცირდა, ხოლო სესხის დაფარვის ვადა გაიზარდა 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 2027 წლის 22 ოქტომბრამდე.

ნასესხები სახსრებისთვის გირაოში ჩადებული აქტივების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-20 შენიშვნა.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	398	240
მომხმარებლებისგან მიღებული საავანსო გადახდები	790	694
სხვა გადასახდელი გადასახადები	141	1,663
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,329**	**2,597**

12. ამონაგები

	2018	2017
გამოფენების მომსახურება	2,920	2,579
საიჯარო შემოსავალი	1,697	1,943
ღონისძიებების ორგანიზება	1,054	1,010
სულ ამონაგები	**5,671**	**5,532**

13. გამოფენებისა და ღონისძიებების ორგანიზების დანახარჯები

	2018	2017
წვეულების საჭმელ-სასმელის დანახარჯი	404	349
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	336	-
რეკლამის ხარჯი	244	179
ხელფასების ხარჯი	194	184
დროებითი ნაგებობების დამონტაჟების/დემონტაჟის დანახარჯები	168	-

დალაგება-დასუფთავების დანახარჯი	79	55
მოწყობილობების საიჯარო ქირის დანახარჯი	61	45
სასტუმროს ხარჯები	46	-
ტრანსპორტირების ხარჯი	42	24
საკომუნიკაციო ხარჯები	22	24
სხვა ხარჯები	222	102
სულ გამოფენებისა და ღონისძიებების ორგანიზების დანახარჯები	**1,818**	**962**

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასების ხარჯი	2,021	1,943
კომუნალური მომსახურების ხარჯები	75	65
სარემონტო და ტექმომსახურების ხარჯები	66	34
ოფისის ხარჯები	52	52
სხვა ხარჯები	135	98
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2,349**	**2,192**

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	536	632
გადასახადები	271	206
დაცვის ხარჯები	173	113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერა/(აღდგენა)	102	(20)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	72	79
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება/(აღდგენა)	(6)	229
სხვა საოპერაციო (შემოსავალი)/ხარჯები - ნეტო	131	53
სულ საოპერაციო ხარჯები	**1,279**	**1,292**

16. სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები მოიცავს შემოსავალს, რომელიც კომპანიამ მიიღო „თბილისის ხელოვნების ბაზრობა - 2018“ ორგანიზებაში დახმარების მიზნით, შემდეგი მხარეებისგან:

	2018	2017
თბილისის მუნიციპალიტეტი	380	-
საქრათველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია	147	-
აშშ-ის საელჩო საქართველოში	15	-
სულ სახელმწიფო გრანტები	**542**	**-**

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, ნეტო

	2018	2017
სხვა შემოსავალი	96	336
საინვესტიციო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით გადახდილი დანამატი	(467)	(591)
(ზარალი)/შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან, ნეტო	(279)	3,638
ზარალი დაუმთავრებელი მშენებლობის გაყიდვიდან	-	(1,282)
საინვესტიციო ქონებისთვის მიღებულ საავანსო გადახდებთან დაკავშირებით გადახდილი ჯარიმა	-	(1,241)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	(414)
გაცემულ გარანტიებთან დაკავშირებით მიღებული ზარალი	-	(304)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებით მიღებული ზარალი, ნეტო	-	(295)
სულ არასაოპერაციო ხარჯები, ნეტო	**(650)**	**(153)**

18. ფინანსური შემოსავალი

	2018	2017
საკურსო სხვაობებით განპირობებული ზარალი, შემოსულობების გამოკლებით	80	-
საპროცენტო შემოსავალი	26	30
სულ საპროცენტო შემოსავალი	**106**	**30**

19. ფინანსური დანახარჯები

	2018	2017
საკურსო სხვაობებით განპირობებული ზარალი, შემოსულობების გამოკლებით	-	1,021
საპროცენტო ხარჯი	489	849
ბანკის საკომისიო გადასახდელები	39	32
სულ ფინანსური დანახარჯები	**528**	**1,902**

20. პირობითი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობის, ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ერთმანეთს ეწინააღმდეგება და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანი ხდება. გადასახადებს იხილავს და იკვლევს მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოებისა, რომლებსაც სერიოზული საურავების, ჯარიმებისა და პროცენტების გადახდის დაკისრების უფლება აქვთ. თითოეული საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მხრიდან განხილვისთვის ღიად რჩება სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდ ხანს

20. პირობითი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

დარჩეს ღიად განხილვისთვის. ასეთმა ვითარებამ საქართველოში შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მათ ადეკვატურად შეასრულეს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს სათანადო საგადასახადო კანონმდებლობის, სხვა ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუკი აღნიშნული ორგანოები წარმატებას მიაღწევენ საკუთარი ინტერპრეტაციების სისრულეში მოყვანაში.

გირაოში ჩადებული და შეზღუდული აქტივები. შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია იმ აქტივების ღირებულებები, რომლებიც გირაოში იყო ჩადებული სესხის უზრუნველყოფის სახით სხვადასხვა ხელშეკრულების მიხედვით:

ხელშეკრულებები	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საინვესტიციო ქონება			
ს.ს. თიბისი ბანკიდან აღებული სესხები	10	15,926	14,213
ძირითადი საშუალებები			
ს.ს. თიბისი ბანკიდან აღებული სესხები	10	3,358	3,135
სულ		**19,284**	**17,348**

შემზღუდავი პირობების (კოვენანტების) შესრულება. კომპანიას ევალება სასესხო ხელშეკრულებით დაწესებული გარკვეული შემზღუდავი პირობების შესრულება, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ს.ს. თიბისი ბანკიდან ნასესხებ სახსრებთან. ამგვარი პირობების (კოვენანტების) შეუსრულებლობამ შესაძლოა კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, მათ შორის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების გაზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას შესრულებული ჰქონდა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული შემზღუდავი პირობები (კოვენანტები).

კომპანიის, როგორც მეიჯარის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები. კომპანიას გრძელვადიანი იჯარით აქვს გაცემული თავისი ქონება. არსებული საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწიებული საიჯარო ქირები პერიოდულ გადახედვას ითვალისწინებს.

21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და ნაშთები

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული შემოსავლისა და ხარჯების მუხლები:

	2018	2017
სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული საოჯარო შემოსავალი - Piramida + 1	15	260

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული გადავადებული ნაშთები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული საოჯარო შემოსავალი - Piramida + 1	134	119

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, კომპანიის დირექტორსა და ფინანსურ დირექტორს. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან აქციონერები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიაზე. ანაზღაურება, რომელსაც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას უხდიან აღმასრულებელი ხელმძღვანელის თანამდებობაზე სრული განაკვეთით მუშაობისთვის, მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ხელფასსა და კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებთან დაკავშირებულ პრემიებს. მათი ანაზღაურების მთლიანმა თანხამ შეადგინა 599 ათასი ლარი (2017 წ.: 685 ათასი ლარი), რაც ასახული იყო საერთო და ადმინისტრაციულ და არასაოპერაციო ხარჯებში.

22. ფინანსური ინსტრუმენტები

	2018	2017
ფინანსური აქტივები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, გაუფასურების გამოკლებით	1,705	6,926
ფინანურივალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	5,479	10,274

23. საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები


2019 წლის იანვარში კომპანიამ 569 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტად ლარში გაყიდა საინვესტიციო ქონება, რომლის მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობი შეადგენდა 1,138 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 1,499 ათას ლარს.

2019 წლის 8 იანვარს კომპანიამ გამოაცხადა 940,000 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები. აქციონერები, რომელბიც 2%-ზე მეტ წილს ფლობენ, აღნიშნულ დივიდენდს მიიღებენ თანაბარ ნაწილაებად გაყოფილს, ყოველი თვის ბოლოს 2019 წლის ბოლომდე.

თქვენი საიმედო პარტნიორი

2018 წლის მმართველობის ანგარიშგება
კომპანიის საქმიანობის მიმოხილვა

Expo Georgia







შინაარსი

2 მოკლე მიმოხილვა
2 მისია
2 ხედვა
2 ბიზნეს საქმიანობები
2 ძირითადი ფინანსური შედეგები
2 ძირითადი საოპერაციო შედეგები
3 განვითარების მიმოხილვა
4 სტრატეგიული კომპონენტი
4 ბიზნეს მოდელი
7 სტრატეგია
7 2018 წლის სტრატეგია
7 ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები
8 რისკები და გაურკვევლობები
9 ბიზნეს შედეგები
9 საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები
11 საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შედეგები
11 სოციალური პასუხისმგებლობა
11 კვლევები და განვითარება

მოკლე მიმოხილვა

მისია

ადგილობრივი ბაზრის, ინდუსტრიების და შესაბამისად, კომპანიების განვითარების და პოპულარიზაციის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის გამოფენების და ღონისძიებების ორგანიზების გზით, რომელიც იქნება მომწოდებლების და მომხმარებლების შეხვედრის ადგილი და გახდება შესაბამისი ინდუსტრიების რეალური მიკრო მოდელი.

ხედვა

ვიყოთ ადგილობრივი და რეგიონალური ბაზრების განვითარებისა და პოპულარიზაციის საიმედო მხარდამჭერი და ქვეყანასა და რეგიონში ინდუსტრიების, კომპანიების და ეკო-სისტემის განვითარების სანდო ხელშემწყობი.

ბიზნეს საქმიანობები

გამოფენები: ჩვენი ერთ-ერთი უნიკალური ბიზნეს მიმართულებაა გამოფენების და სავაჭრო ბაზრობების შემუშავება და ორგანიზება.

უძრავი ქონების იჯარა: ჩვენ ვთავაზობთ უძრავ ქონებას იჯარით საოფისე და საწყობი სივრცის და შოურუმის მოწყობისთვის.

ღონისძიებები: კომპანიებსა და საცალო კლიენტებს ჩვენ ვთავაზობთ ღონისძიებების მენეჯმენტისა და ორგანიზების სერვისს, რომელიც ასევე ითვალისწინებს საკვებისა და სასმელების მიწოდების მომსახურებას და ტექნიკურ მხარდაჭერას.

ძირითადი ფინანსური შედეგები

შემოსავალი 2018 წელს
+12%
სამიზნე მაჩვენებელი
2019-2020 წლებისთვის **+2%**

საოპერაციო მოგება
2018 წელს **612 000 ₾**
სამიზნე მაჩვენებელი
2019-2020 წლებისთვის **+3%**

ROE
2018 წელს **4%**
სამიზნე მაჩვენებელი
2019-2020 წლებისთვის **+2%**

ძირითადი საოპერაციო შედეგები

დამთვალიერებლების რაოდენობა
2018 წელს
80000, +29%

საერთაშორისო მონაწილეების რაოდენობა
2018 წელს
350, +21%

მონაწილეების საშუალო კმაყოფილების დონე
2018 წელს **85%**
2017 წელს **81%**

ძირითადი საოპერაციო შედეგები

დამთვალიერებლების საშუალო კმაყოფილების დონე

2018 წელს **84%**

2017 წელს **82%**

კლიენტების ლოიალობის მაჩვენებელი

2018 წელს **40%**

2017 წელს **15%**

განვითარების მნიშვნელოვანი მოვლენები

1996 წლიდან ჩვენ ვმასპინძლობთ **კავკასიის სამედიცინო ფორუმს და კავკასიის უსაფრთხოების გამოფენას.**

2000 წლისთვის დავამატეთ 6 ახალი გამოფენა **მშენებლობის საერთაშორისო ფორუმი, TransCommcaucasus, სოფლის მეურნეობის და კვების მრეწველო ბის გამოფენა, Elcomm Caucasus, ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა, ავტო შოუ.**

2003 წელს **აშენდა მე-3 პავილიონი,** რომელიც განკუთვნილია კონფერენციებისა და ფორუმებისთვის.

2005 წელს კომპანია გახდა **გამოფენების ინდუსტრიის გლობალური ასოციაციის (UFI) წევრი** და მას შემდეგ მასპინძლობს ასოციაციის მიერ ავტორიზებულ ღონისძიებას **სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების** და ასევე ახალ გამოფენას - ოლიგრაფიისა და რეკლამის ბაზრობას.

2011 წლისთვის ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ 4 ახალ გამოფენას - **ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენას, საერთაშორისო განათლების გამოფენას, სილამაზის საერთაშორისო ფორუმს და წიგნის დღეებს.**

2018 წელს მოვაწყეთ 2 ახალი გამოფენა **თბილისის ხელოვნების ბაზრობა და სკოლების გამოფენა.**

სტრატეგიული კომპონენტი

ბიზნეს მოდელი

„ექსპო ჯორჯია" ერთადერთი საგამოფენო ცენტრია საქართველოში და აგრეთვე ერთ-ერთი წამყვანი ცენტრი კავკასიის რეგიონში. კომპანია ორგანიზებას უწევს გამოფენებს, სხვადასხვა სახის კონფერენციებს, კონგრესებსა და ღონისძიებებს.

საგამოფენო ცენტრის ისტორია 1958 წელს იწყება. ამ დროს ქვეყანამ დროებითი საგამოფენო პავილიონები ააშენა და თბილისის 1500 წლის იუბილეს აღსანიშნავად მოაწყო ინდუსტრიული ნაწარმის გამოფენა. ფართო მასშტაბიანი სამშენებლო სამუშაოები 1961 წელს დაიწყო და შედეგად თბილისის ცენტრში განთავსდა 11 პავილიონი, სათბური, აუზი და პარკი. საბჭოთა პერიოდში საგამოფენო ცენტრში საბჭოთა მიღწევების ხაზგასასმელად, ეწყობოდა ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის პერმანენტული გამოფენები. წელიწადში ერთხელ სივრცე ეთმობოდა საერთაშორისო გამოფენებს. 1994-1998 წლებში მოხდა ორგანიზაციის პრივატიზირება და კომპანია გარდაიქმნა სააქციო საზოგადოებად. ინფრასტრუქტურა განახლდა. „ექსპო ჯორჯია"-ს დაეკისრა მნიშვნელოვანი როლი – ერთი მხრივ, უცხოური კაპიტალის მოზიდვა საქართველოში და მეორე მხრივ, ქართული ბიზნესებისათვის საერთაშორისო ბაზრების გახსნა.

გამოფენების და ღონისძიებებისათვის განკუთვნილია 10 000 კვ.მ დახურული ფართი და 8 500 კვ.მ ღია საგამოფენო ფართი. პავილიონების ფართობი მერყეობს 300 კვ.მ-დან 1700 კვ.მ-მდე. მე-11 პავილიონი არის ყველაზე დიდი, მისი ფართობი შეადგენს 1 690 კვ.მ-ს და შეუძლია დაიტიოს 30 000 ადამიანამდე.

2005 წელს კომპანია გაწევრიანდა საგამოფენო ცენტრებისა და ორგანიზატორების საერთაშორისო ასოციაციაში - UFI და მიიღო სრულფასოვანი წევრის სტატუსი გამოფენების ორგანიზატორისა და გამოფენების ცენტრის კატეგორიაში.



წლების განმავლობაში, „ექსპო ჯორჯია"-ს ღონისძიებები გახდა შესანიშნავი ფორუმი გადაწყვეტილების მიმღებთათვის – ახალი პროდუქტის შესაფასებლად, კონტაქტების დასამყარებლად, მიმწოდებლებთან ურთიერთობების გასაფართოებლად და შესყიდვების განსახორციელებლად. ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია „ექსპო ჯორჯია"-ს მიიჩნევს საიმედო პარტნიორად და მნიშვნელოვან მოკავშირედ ბიზნეს ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების საქმეში.
ჩვენს პორტფელს წლების განმავლობაში დავამატეთ რიგი ახალი გამოფენებისა:
2005 წელი - საქართველოს პოლიგრაფიისა და რეკლამის გამოფენა;
UFI-ს მიერ ავტორიზებული ღონისძიება სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენა (მას შემდეგ კომპანია მასპინძლობს ამ ღონისძიებას)
2007 წელი - ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა
2010 წელი - საერთაშორისო განათლების გამოფენა
2011 წელი - სილამაზის საერთაშორისო ფორუმი, თბილისის წიგნების დღეები
2018 წელი - თბილისის ხელოვნების ბაზრობა, სკოლების გამოფენა

ჩვენი ბიზნეს მოდელი მოიცავს სამ საოპერაციო მიმართულებას:

გამოფენები

ჩვენი ერთ-ერთი უნიკალური ბიზნეს მიმართულებაა გამოფენების და სავაჭრო ბაზრობების შემუშავება და ორგანიზება. გამოფენების ორგანიზება ხდება სხვადასხვა ინდუსტრიის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის და ასევე, ფიზიკური პირებისთვის. ჩვენ ყოველწლიურად ორგანიზებას ვუწევთ 8-12 გამოფენას.
გამოფენების ორგანიზება ხდება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე და გამოფენის მონაწილეები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ოპერირებენ, როგორც საქართველოს, ასევე კავკასიის ბაზარზე. ჩვენი პორტფელის მნიშვნელოვანი გამოფენებია:



ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა

ერთადერთი საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენა საქართველოსა და მთელ კავკასიის რეგიონში წარმოადგენს ღვინის მრეწველობის, პროდუქციისა და მომსახურების სრულ სპექტრს. აქედან გამომდინარე, ეს უნიკალური შანსია მწარმოებლებისა და ექსპორტიორებისთვის, მიაღწიონ წარმატებას ბიზნეს შესაძლებლობების ახალ ბაზარზე.

თბილისის ხელოვნების ბაზრობა (TAF)

არის თანამედროვე ხელოვნების საერთაშორისო ბაზრობა, ფოკუსირებული მეტწილად შავ, კასპიისა და ბალტიის ზღვების ქვეყნებსა და მათ მდიდარ და სიცოცხლით სავსე დამწყებ სახელოვნებო სცენებზე, რომლებიც ხელოვნების ბაზრობებზე ჯერ არ წარმოდგენილა. თბილისის ხელოვნების ბაზრობა არის ადგილი, სადაც კოლექციონერები, კურატორები, მედიის წარმომადგენლები და ხელოვნების სფეროს პროფესიონალები ერთ სივრცეში აღმოაჩენენ ხელოვანებსა და გალერეებს ისეთი ქვეყნებიდან, როგორებიცაა: საქართველო, სომხეთი, ირანი, თურქეთი, რუსეთი, პოლონეთი, ლიტვა, სლოვენია, აზერბაიჯანი, ესტონეთი, რუმინეთი, ბელარუსი, სლოვაკეთი, ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, საუდის არაბეთი, არაბთა გაერთიანებული საემიროები და სხვა.





ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა

ღონისძიება უზრუნველყოფს ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობ პლატფორმას ადგილობრივი, რეგიონალური და გამყვანი ტურიზმის სფეროსთვის მთელ კავკასიის რეგიონში. საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა და მზარდი სამთავრობო ინტერესი ტურიზმის განვითარების კუთხით, გამოფენას აძლევს საშუალებას, გახდეს საერთაშორისო ცენტრი ტურიზმის ინდუსტრიისთვის კავკასიაში.

მშენებლობისა და ინტერიერის საერთაშორისო გამოფენა

არის ერთ-ერთი უმსხვილესი და ყველაზე პოპულარული ინდუსტრიული ღონისძიება საქართველოში და მთელ კავკასიის რეგიონში. მისი არსებობის ორი ათეული წლის განმავლობაში, მშენებლობისა და ინტერიერის საერთაშორისო გამოფენა ჩამოყალიბდა, როგორც კარგად დამკვიდრებული და აღიარებული ღონისძიება, მაღალი საერთაშორისო მნიშვნელობითა და ღირებულებით. ღონისძიება უზრუნველყოფს იდეალურ შესაძლებლობებს სამშენებლო მასალების, ტექნიკის, ტექნოლოგიებისა და სერვისების მიმწოდებლებისათვის, შეხვდნენ საქართველოსა და კავკასიის სამშენებლო კომპანიებს, დეველოპერებს, არქიტექტორებს, ხელისუფლების წარმომადგენლებსა და სხვა მნიშვნელოვან პირებს ინდუსტრიიდან, გაცვალონ ღირებული ინფორმაცია და გააფორმონ ხელშეკრულებები. გამოფენის მიზანია, ხელი შეუწყოს ინოვაციების უფრო სწრაფ მოხვედრას ქართულ ბაზარზე. ჩვენ ვთავაზობთ, საერთაშორისო და ადგილობრივ კომპანიებს პლატფორმას, სადაც შეხვდებიან მყიდველებს და დაამყარებენ ნაყოფიერ პარტნიორობას, იმისათვის, რომ შექმნან ეფექტური მიწოდების ქსელი, მიიღონ ურთიერთ სარგებელი და ბიზნესის ზრდა.





საერთაშორისო განათლების გამოფენა

გახდა საქართველოს ძირითადი საგანმანათლებლო გამოფენა, სადაც ათასობით სერიოზული და მოტივირებული სტუდენტი და მათი ოჯახები ხვდებიან განათლების პრესტიჟულ პროვაიდერებს მთელი მსოფლიოდან. ღონისძიება იზიდავს პერსპექტიულ სტუდენტებს, დაინტერესებულ მშობლებს, მეცნიერებსა და აკადემიურ პერსონალს, ასევე ამ სფეროსთან დაკავშირებულ პროფესიონალებს.

სკოლების გამოფენა

-გამოფენა საშუალებას აძლევს მშობლებს, სრული წარმოდგენა შეიქმნან ბაზარზე არსებული სკოლების და მათი პროგრამების შესახებ. სასკოლო პროგრამების გარდა, გამოფენაზე მოსულ მშობლებს საშუალება აქვთ, დაგეგმონ შვილების არდადეგები საქართველოში და საზღვარგარეთ საზაფხულო/სათხილამურო სკოლებსა და ენის ცენტრებში, აირჩიონ სპორტული და სახელოვნებო წრეები, გასართობი ცენტრები. აქ ნებისმიერი ასაკის ბავშვის მშობელს შეუძლია, მიიღოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია, აგრეთვე, გაეცნოს ენის შემსწავლელი ცენტრების შეთავაზებებს და გაცვლით პროგრამებს.





სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენა

მისი არსებობის 19 წლის განმავლობაში გამოფენა დიდი ისტორიისა და ტრადიციის მქონე ღონისძიებად იქცა. ყოველწლიურად გამოფენა იზიდავს მრავალ პროფესიონალ ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორს, მსხვილ შემსყიდველს, მაღალი დონის ექსპერტსა და სამთავრობო მხარდაჭერას და მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას, წარადგინონ თავისი ახალი პროდუქტები და სერვისები კავკასიის განვითარებად ბაზარზე. გამოფენა ქმნის უნიკალურ პლატფორმას, რომელიც შესაძლებლობას იძლევა, წარმოადგინოთ პროდუქტები და მომსახურება, დაუკავშირდეთ მიზნობრივ ჯგუფებს და მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, კვების მრეწველობის პროფესიონალებსა და პოტენციურ მყიდველებს, ასევე, იდენტიფიცირება მოახდინოთ და შეისწავლოთ ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობები საქართველოში და მთელ კავკასიის რეგიონში.

თბილისის წიგნის დღეები

არის წიგნის ხელოვნების ცენტრის და „ექსპო ჯორჯია"-ს ერთობლივი პროექტი. წიგნის დღეების ინიციატორთა სურვილია, გავაფართოვოთ თბილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფორმატი და წიგნების ტრადიციულ გამოფენა-გაყიდვასთან ერთად, მკითხველ საზოგადოებას მრავალფეროვანი კულტურული, საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამა შევთავაზოთ: საერთაშორისო ვორკშოპები და გამოფენები, საჯარო ლექციები, საბავშვო ღონისძიებები, წიგნების კითხვა და დისკუსიები.





თბილისის ჯანდაცვის ფორუმი

ეს ახალი გამოფენა ორი უძველესი გამოფენის გაერთიანებით შეიქმნა. ეწყობა სამი პარალელური სავაჭრო გამოფენა, რომლებიც ერთი კონცეფციის ქვეშ ერთიანდება.

აკვათერმ თბილისი და ELCOMM კავკასია

ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ თბილისის გათბობის, წყალმომარაგების, სანტექნიკის, ვენტილაციისა და კონდიცირების გამოფენას.
ეს გამოფენა წარმოაჩენს ენერგეტიკის ინდუსტრიის გამოწვევებსა და შესაძლებლობებს და უზრუნველყოფს პლატფორმას მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებებისათვის.



ღონისძიებები:

კომპანიებსა და საცალო კლიენტებს ვთავაზობთ ღონისძიებების მენეჯმენტსა და ორგანიზებას, რაც მოიცავს საკვებით და სასმელებით მომსახურებას და ტექნოლოგიურ მხარდაჭერას. ღონისძიებების ორგანიზების ბიზნეს მიმართულების

კლიენტები არიან კომპანიები და საერთაშორისო ორგანიზაციები. ეს მიმართულება ითვალისწინებს საშუალო და დიდი ზომის ღონისძიებების ორგანიზებას, როგორიცაა კორპორატიული ღონისძიება, კონფერენცია, კონგრესი, ტრენინგი ან სემინარი. „ექსპო ჯორჯია“ ერთადერთი საგამოფენო ცენტრია საქართველოში, რომელსაც შეუძლია უმასპინძლოს 1500-ზე მეტ მონაწილეზე გათვლილ ღონისძიებას. საცალო მომხმარებლები არიან „ექსპო ჯორჯია“-ს ისეთი ღონისძიებების მომხმარებლები, როგორიცაა ტრენინგები, ფოტო/ვიდეო გადაღებები და სხვა. ჩვენ ვთავაზობთ ღონისძიების ორგანიზებას, როგორც ჩვენს კუთვნილ პავილიონებში, ისე მის გარეთ.
2018 წელს კომპანიამ განახორციელა 100-ზე მეტი ღონისძიება, რომელთაგან 21% არის გატანითი ღონისძიებები.

უძრავი ქონების იჯარა:

ჩვენი უძრავი ქონების ნაწილს ვიყენებთ იჯარით გასაცემად.
ჩვენი კლიენტები არიან სხვადასხვა ზომის კომპანიები, რომლებიც ქირაობენ ფართს საოფისედ, სასაწყობოდ ან/და შოურუმის მოსაწყობად. ჩვენს კლიენტებს შორის არიან: კრისტალი, ბილაინი, m2 უძრავი ქონება.



სტრატეგია

2018 წლის სტრატეგია

2018 წელს ჩვენი საქმიანობის სტრატეგიული მიზნები შემდეგ მიმართულებს მოიცავდა:

- არსებული, რეგულარული გამოფენების კონცეფციების დახვეწა, მონაწილეებისა და ვიზიტორებისთვის მათი მიმზიდველობის გაზრდის მიზნით;
- ახალი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენების ორგანიზება;
- ღონისძიებების მიმართულებით ბაზრისთვის მიმზიდველი შეთავაზებების მომზადება;
- დამატებითი საიჯარო ფართების შექმნის მიზნით, პარტნიორ სამშენებლო კომპანიებთან ერთად, სამშენებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელების დაწყება;
- რეგულარული აქტივობების მოწყობა, პროფილური ღონისძიებების ორგანიზება, საკვებისა და სასმელების მომსახურების მიმართულების განვითარება.

2018 წელს ჩვენი გამოწვევა იყო უძრავი ქონების იჯარის პორტფელის გაუმჯობესება, რისთვისაც მთელი წლის განმავლობაში, აქტიურად ვაწარმოებდით კომპანიებთან მოლაპარაკებებს.

2018 წლის სტრატეგიის შესაბამისად, ჩვენ:

- განვაახლეთ სამი რეგულარული გამოფენის კონცეფცია;
- ორგანიზება გავუკეთეთ ორ ახალ გამოფენას - თბილისის ხელოვნების ბაზრობასა და სკოლების გამოფენას;
- შევიმუშავეთ ღონისძიებების პაკეტი პოტენციური კლიენტებისთვის და დავიწყეთ აქტიური სარეკლამო კამპანია;
- გავაძლიერეთ საკვებისა და სასმელების მომსახურების ბიზნეს მიმართულება;
- დავიწყეთ მოლაპარაკებები პარტნიორ დეველოპერულ/სამშენებლო კომპანიებთან;

ძირითადი სტრატეგიული

მომავალი ორი წლისთვის ჩვენი საქმიანობის სტრატეგიული მიზნები შემდეგი მიმართულებით განვსაზღვრეთ:

- ბიზნეს ცენტრის სტატუსის გამყარებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- არსებული კვების ობიექტის გაფართოება და დამატებითი კვების ობიექტების შექმნაზე მუშაობის დაწყება;
- არსებული გამოფენების გაუმჯობესება და წლის განმავლობაში ერთი ახალი საგამოფენო პროდუქტის დამატება;
- ღონისძიებების მიმართულებით პროაქტიური გაყიდვების დაწყება.

რისკები და გაურკვევლობები

საოპერაციო რისკები:

საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს ბიზნეს პროცესებში ვიყენებთ სხვადასხვა სახის მანქანა-მოწყობილობებს და ტექნოლოგიებს, როგორიცაა ტრანსპორტი, ღონისძიებების ორგანიზებისთვის საჭირო მოწყობილობები, გამოფენების პავილიონების მოსაწყობი მასალები და მოწყობილობები, ასევე სასმელი და საკვები მომსახურებისთვის (catering) საჭირო მოწყობილობები. ამგვარად, კომპანიის საქმიანობა დაკავშირებულია ჯანმრთელობის და უსაფრთხოების რისკებთან, რომლის მართვასაც ვახორციელებთ კარგად შემუშავებული უსაფრთხოებისა და ჯანდაცვის პროცედურებით. გარდა ამისა, ტექნიკურ სამუშაოებში ჩართული თანამშრომლები დაზღვეულნი არიან უბედურ შემთხვევაზე. საქმიანობაში ტექნოლოგიებისა და მანქანა-მოწყობილობების გამოყენება ასევე წარმოშობს ხანძრის, ნგრევის და სხვა რისკებს. ჩვენ შემუშავებული გვაქვს ხანძარსაწინააღმდეგო და მანქანა-მოწყობილობების გამოყენების უსაფრთხოების პროცედურები. ამ კუთხით ჩვენი სტანდარტები შესაბამისობაშია ისეთი საერთაშორისო ორგანიზაციების ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებთან, როგორიცაა, მაგალითად, OSCE. იმისთვის, რომ შევამციროთ/აღმოვფხვრათ ტექნიკური რისკების გავლენა, ჩვენ ვახორციელებთ მანქანა-მოწყობილობების სასარგებლო გამოყენების ვადების მართვას და ვატარებთ შესაბამის სარემონტო სამუშაოებს.

საინფორმაციო ტექნოლოგიების რისკები :

ჩვენი საოპერაციო/ბიზნეს პროცესების მზარდი დამოკიდებულება ინფორმაციულ ტექნოლოგიებზე დაკავშირებულია პროგრამული უზრუნველყოფის ან ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის ან ენერგომომარაგების შეფერხების რისკის პოტენციური გავლენის მნიშვნელოვან ზრდასთან. სისტემის გათიშვა, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს, როგორც კიბერ შეტევების, ისე შიდა დაზიანების/შეფერხების შედეგად, შესაძლოა ადმინისტრაციულ პროცესებში მნიშვნელოვანი პრობლემები წარმოშვას, რაც თავის მხრივ, განაპირობებს ბიზნეს პროცესების მნიშვნელოვან დაყოვნებას და დამატებით ხარჯებს. კომპანიის მასშტაბით ჩვენ შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები გვაქვს მიღებული სისტემური გაუმართაობის, მონაცემთა დაკარგვის და მონაცემებით მანიპულაციის წინააღმდეგ. მონაცემთა დაცვის და საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის გაძლიერების მიზნით, ჩვენ დამატებით ღონისძიებებს მივმართავთ მონაცემთა დაარქივებისთვის, რაც ამაღლებს ჩვენს მდგრადობას კიბერ შეტევების მიმართ. IT ინფრასტრუქტურისთვის ჩვენ ვიყენებთ, როგორც შიდა სერვერებს, ასევე გარე სერვისებს.

პოლიტიკურ/ეკონომიკური რისკები:

პოლიტიკური/ეკონომიკური რისკი ეს არის რისკი, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ხელისუფლების ცვლილებით, არასტაბილური კანონმდებლობით, ინვესტირებისთვის არახელსაყრელი პოლიტიკით და სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებით. აღნიშნული რისკი ჩვენს საქმიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ვინაიდან ჩვენი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ჩვენს მიერ ორგანიზებული გამოფენების საერთაშორისო მონაწილეები. საქართველოს პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა გარემომ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე და შესაბამისად, მათ ინტერესზე ჩვენი მომსახურების მიმართ. ჩვენი რისკების მართვის პოლიტიკა, ამ რისკის პოტენციური გავლენის შესამცირებლად, მიმართულია ჩვენი მომხმარებლების პორტფელის დივერსიფიკაციაზე, რომ დაბალანსებული იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის წილი.

ფინანსური რისკები:

ჩვენს ბიზნესზე გავლენას ახდენს სავალუტო გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რადგან კომპანიას სესხი აღებული აქვს ევროში და მისი შემოსავლის და ხარჯების ნაწილიც ასევე უცხოურ ვალუტაშია. კომპანიის პოლიტიკის მიზანია, რომ შეამციროს სავალუტო რისკი. ჩვენი სტრატეგია - გამოფენებში მოვიზიდოთ უცხოელი კლიენტები და უძრავი ქონების ფასები განვსაზღვროთ მყარ ვალუტაში, როგორიცაა ევრო - ამცირებს სავალუტო რისკს. უცხოური ვალუტის რისკის პოტენციური გავლენა წინასწარ არის ასახული ბიუჯეტში და შესაბამისი ვალუტის რეზერვი არის შექმნილი. გარდა ამისა, კომპანია გამოიმუშავებს შემოსავალს შესაბამის უცხოურ ვალუტაში. საჭიროების შემთხვევაში, სავალუტო რისკები დაზღვეულია ფორვარდული ტრანზაქციებით, რომლებსაც ვახორციელებთ მხოლოდ ჩვენი მომსახურე ბანკების მეშვეობით. შიდა რეგულაციები და სახელმძღვანელოები აწესებს სავალდებულო ჩარჩოს და განსაზღვრავს შესაბამის პასუხისმგებლობებს გადახდებთან, ინვესტიციებთან და ჰეჯირებასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში გვაქვს. სავალუტო რისკთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკის გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებულია Euribor (Euro Interbank Offered Rate)-თან. ჩვენ რეგულარულად ვახდენთ ლიკვიდობის რისკების იდენტიფიცირებას და ვითვალისწინებთ ფულადი ნაკადების დაგეგმვისას. საკრედიტო რისკის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე არ არის მნიშვნელოვანი, რადგან კომპანიაში რეგულარულად ხდება დებიტორული დავალიანებების მონიტორინგი.

ბიზნეს შედეგები

საქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

ჩვენს ბიზნეს საქმიანობას ვაფასებთ შემდეგი ფინანსური და საოპერაციო მაჩვენებლებით:

ძირითადი საოპერაციო მაჩვენებლებით

2018 წლის საოპერაციო შედეგები:

	2016	2017	2018
კონფერენციები	74	69	60
გამოფენები	8	8	10
კორპორატიული ღონისძიებები	10	6	2
გატანითი ღონისძიებები	15	23	22
სხვა (პარკინგის ადგილის გაქირავება, კლიპის გადაღება და სხვა)	7	8	9
სულ	114	114	103

როგორც ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს კომპანიამ უმასპინძლა 10 გამოფენას, მათ შორის იყო ორი ახალი გამოფენა - თბილისის ხელოვნების ბაზრობა და სკოლების გამოფენა.
2017 წლის შედეგების მიხედვით, გამოფენებზე ვიზიტორთა რაოდენობა 9%-ით გაიზარდა, 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით.
2018 წელს „ექსპო ჯორჯია“-ს მიერ ორგანიზებულ გამოფენებს ჯამში დაახლოებით 80 000 დამთვალიერებელი ესტუმრა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 29%-ით აღემატება. 2018 წელს გამოფენებში 350 საერთაშორისო მონაწილე დაფიქსირდა. აღნიშნული მაჩვენებელი 60-ით აღემატება 2017 წლის გამოფენებში საერთაშორისო მონაწილეთა რაოდენობას.
2018 წელს ორგანიზებული ღონისძიებების მიხედვით ლოიალური კლიენტების მაჩვენებელი გაუმჯობესდა 2016-2017 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა 40%.
ყოველი გამოფენის შემდეგ, ჩვენ ვატარებთ ღონისძიების მონაწილეთა და ვიზიტორთა კმაყოფილების კვლევას. 2017 წელს, გამოფენებში მონაწილეთა საშუალო კმაყოფილების დონე შეადგენდა 81%-ს, ხოლო 2018 წელს ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა და შეადგინა 85%.
რაც შეეხება ვიზიტორთა კმაყოფილებას, გამოკითხვების შედეგების მიხედვით 2017 და 2018 წლებში ვიზიტორთა საშუალო კმაყოფილების დონე შეადგენდა, შესაბამისად, 82%-ს და 84%-ს.

თბილისის ხელოვნების ბაზრობა

თბილისის ხელოვნების ბაზრობამ, რომელიც მიმდინარეობდა 4 დღის განმავლობაში, 8 000-ზე მეტ დამთვალიერებელს უმასპინძლა. ბაზრობაზე კერძო კოლექციონერებზე გაყიდვების სოლიდური მაჩვენებელი დაფიქსირდა. დამთვალიერებელთა შორის იყო მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი მუზეუმის წარმომადგენელი, ხელოვანი, კოლექციონერი, ხელოვნების კრიტიკოსი, კურატორი თუ დილერი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორიცაა აშშ, დიდი ბრიტანეთი, ავსტრია, პოლონეთი, უნგრეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, რუსეთი, სომხეთი, ირანი, თურქეთი, უკრაინა, აზერბაიჯანი და არაბთა გაერთიანებული საამიროები.
ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო გალერეები, ინსტალაციები, მსხვილი არაკომერციული გამოფენები და მოეწყო საუბრები ხელოვნებაზე. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ დამოუკიდებელი ხელოვანები მსოფლიოს 15 ქვეყნიდან. ბაზრობა მოეწყო „ექსპო ჯორჯია“-ს 7 პავილიონში, ჯამური ფართობით - 20


სკოლების გამოფენა

2018 წელს პირველად ჩატარდა საშუალო განათლების გამოფენა, სადაც მონაწილეობა მიიღო 38-მა კერძო და საჯარო სკოლამ, უცხო ენის ცენტრმა, სასკოლო წიგნების გამომცემელმა და ა.შ.
გამოფენა მოეწყო კომპანიის ტერიტორიაზე, ჯამური ფართობით 748 კვ.მ. ღონისძიებას ესტუმრა სულ 4 130 დამთვალიერებელი, მათგან 98% ადგილობრივი დამთვალიერებელი იყო, ხოლო 2% - უცხოელი.
გამოფენის მონაწილეთა გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპოდენტთა 88%-მა დააფიქსირა, რომ გამოფენამ მიაღწია მიზანს და დაკმაყოფილდა დამთვალიერებელთა რაოდენობით.



ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები


შემდეგი ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიისფინანსურ მაჩვენებლებს:











2016 წელს მაღალი კონტრიბუციის მარჟა და მოგება, პროცენტის, გადასახადის და ცვეთის გამოკლებამდე განპირობებული იყო OSCE-ის ღონისძიების შემოსავლით, ჯამურად 2,452,186 ლარი. ამ ღონისძიების თვითღირებულების უდიდესი ნაწილი კაპიტალური ხარჯი იყო და 1 000 000 ლარს აღემატებოდა. იმის გამო, რომ მოგება- ზარალის უწყისი მხოლოდ პირდაპირ ხარჯებს ასახავს, ამ ღონისძიების ხარჯი მნიშვნელოვნად ცვლის მოგების მაჩვენებლებს.

შემოსავალი ბიზნეს მიმართულებების მიხედვით:

	2016 ₾'000	2017 ₾'000	2018 ₾'000	პროგრესი/რეგრესი	
				2016/2017	2017/2018
შემოსავალი გამოფენიდან	2.402	2.579	3.462	0.07	0.34
შემოსავალი იჯარიდან	2.311	1.943	1.697	-0.16	-0.13
შემოსავალი ღონისძიებების ორგანიზებიდან	4.068	1.010	1.054	-0.75	0.04
მთლიანი შემოსავალი	8.781	5.532	6.213	-0.37	0.12

2018 წელს თბილისის ხელოვნების ბაზრობის ორგანიზების დასაფინანსებლად ჩვენ მივიღეთ სახელმწიფო გრანტი, 542,000 ლარის ოდენობით, რამაც განაპირობა შემოსავლების ზრდა. თუმცა მიუხედავად სახელმწიფო მხარდაჭერისა, გამოფენა პირველ წელს ზარალის მომტანი იყო, შედეგად, კონტრიბუციის მარჟა 2017 წელთან შედარებით შემცირდა. 2018 წელს შემოსავალი იჯარიდან შემცირდა იმის გამო, რომ ჩვენ კონტრაქტები შევუწყვიტეთ მცირე შემოსავლიან კლიენტებს და დავიწყეთ საიჯარო პავილიონების რემონტი. 2018 წელს რემონტის ხარჯი 100%-ით გაიზარდა.


ამ ორმა ფაქტორმა ერთჯერადად გამოიწვია საიჯარო შემოსავლის შემცირება და ხარჯების გაზრდა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ 2019 წლის იჯარიდან მიღებული 8 თვის შემოსავალი 2018 წლის წლიური შემოსავლის 85%-ს შეადგენს.

შესაბამისად, საოპერაციო მოგების შემცირება გამოიწვია იჯარის კონტრაქტების დროებით გაუქმებამ, რემონტის ხარჯების გაზრდამ, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების განახლების ხარჯებმა და ზარალმა თბილისის ხელოვნების ბაზრობიდან.

საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა შედეგები

სოციალური პასუხისმგებლობა

საზოგადოებაზე ზრუნვა ყოველთვის წარმოადგენდა ჩვენს პრიორიტეტს. ამ მიმართულებით ჩვენს მთავარ დამსახურებად მივიჩნევთ პარკს, რომლის გაშენება და განახლება 25 წლის მანძილზე ხდებოდა. შექმნის დღიდან პარკი ღიაა საზოგადოებისთვის. პარკის მწვანე საფარის ფართი დაახლოებით 30 000 კვ.მ.-ს შეადგენს და კომპანია ყოველწლიურად სოლიდურ თანხას ხარჯავს მისი მოვლისთვის.
ჩვენი სოციალური პასუხისმგებლობის ასევე მნიშვნელოვანი ნაწილია თანამშრომლებისა და მომხმარებლების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ვგრძნობთ რა პასუხისმგებლობას კომპანიაში უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, ვიცავთ შესაბამის ნორმებს ჩვენს ბიზნეს პროცესებში. ტექნიკურ სამუშაოებში ჩართული თანამშრომლები უზრუნველყოფილნი არიან ჯანმრთელობის დაზღვევის ისეთი პროგრამით, სადაც გათვალისწინებულია უბედური შემთხვევის დაზღვევა. დამთვალიერებლები კომპანიის მიერ ორგანიზებულ ღონისძიებებზე ინფორმირებულნი არიან, რომ დაიცვან უსაფრთხოების მოთხოვნები. გარდა ჯანდაცვის და უსაფრთხოების კუთხით მიღებული ზომებისა, კომპანია ასევე იცავს კვების უსაფრთხოებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. კომპანიაში არსებული პოლიტიკებისა და პროცედურების გადახედვა ხდება, როგორც რეგულარულად, ასევე საკანონმდებლო მოთხოვნებში ცვლილებების საპასუხოდ.
ჩვენ გვესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია კომპანიაში ასაკოვანი თანამშრომლები, რაც ხაზს უსვამს დასაქმების მდგრადობას - თანამშრომლებს შეუძლიათ კომპანიაში იმუშაონ მომავალშიც. 2018 წელს კომპანიაში დასაქმებული იყო, საშუალოდ, 85 ადამიანი, მათ შორის, 10 თანამშრომელი 60 წელს ზემოთ ასაკისაა.
გარდა ზემოთ ხსენებული ღონისძიებებისა, ჩვენ ყოველწლიურად ვახორციელებთ მცირე ქველმოქმედებას ობოლი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების, თბილისში ჩვილ ბავშვთა სახლის დასახმარებლად და სხვა საქველმოქმედო მიზნით.



კვლევები და განვითარება

ახალი იდეის განხორციელებამდე ჩვენ ვატარებთ ბაზრის კვლევას, რათა გავიგოთ ინფორმაცია ჩვენი სამიზნე აუდიტორიის შესახებ, განვსაზღვროთ შესაბამისი ფასები და მოთხოვნა შესათავაზებელ პროდუქტზე.
როგორც აღვნიშნეთ, 2018 წელს „ექსპო ჯორჯია“-მ ორგანიზება გაუწია ახალ გამოფენას - სკოლების ბაზრობას, რომელიც მომზადდა ძირეული ბაზრის კვლევის და მომხმარებელთა ანალიზის შემდეგ. კვლევის დროს შემუშავდა ახალი მიდგომები გამოფენების ორგანიზების კუთხით და კლიენტებზე უფრო მეტად მორგებული მომსახურების სისტემა დაინერგა.

ქეთევან ჯანგულაშვილი:
ფინანსური დირექტორი

რესანი ქიქავა:
აღმასრულებელი დირექტორი

EXHIBITIONS' CENTRE JSC

International Financial Reporting Standard for Small and Medium-Sized Entities (IFRS for SMEs) Financial Statements and Independent Auditor's Report

31 December 2018

Contents

INDEPENDENT AUDITOR'S REPORT

FINANCIAL STATEMENTS

Statement of Financial Position 1
Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income 2
Statement of Changes in Equity 3
Statement of Cash Flows 4

Notes to the Financial Statements

1 General Information 5
2 Summary of Significant Accounting Policies 5
3 Information about Key Sources of Estimation Uncertainty and Judgements 9
4 Property, Plant and Equipment 11
5 Investment Properties 12
6 Trade and Other Receivables 13
7 Issued Loans 13
8 Cash and Cash Equivalents 14
9 Share Capital 14
10 Borrowings 15
11 Trade and Other Payables 15
12 Revenues 15
13 Cost of Organising Exhibitions and Events 16
14 General and Administrative Expenses 16
15 Other Operating Expenses 16
16 Government Grants 17
17 Other Non-operating Income and Expenses, net 17
18 Finance Income 17
19 Finance Costs 17
20 Contingencies and Commitments 18
21 Balances and Transactions with Related Parties 18
22 Financial Instruments 19
23 Events After the Reporting Date 19

OTHER INFORMATION

Management Report - Overview of the Company's Activities 19

pwc

Independent Auditor's Report

To the Owners and Management of Exhibitions' Centre JSC

Our opinion

In our opinion, the financial statements present fairly, in all material respects, the financial position of Exhibitions' Centre JSC (the "Company") as at 31 December 2018, and its financial performance and its cash flows for the year then ended in accordance with International Financial Reporting Standard for Small and Medium-sized Entities (IFRS for SMEs) and with the requirements of the Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing.

What we have audited

The Company's financial statements comprise:

- the statement of financial position as at 31 December 2018;
- the statement of profit and loss and comprehensive income for the year then ended;
- the statement of changes in equity for the year then ended;
- the statement of cash flows for the year then ended; and
- the notes to the financial statements, which include significant accounting policies and other explanatory information.

Basis for opinion

We conducted our audit in accordance with International Standards on Auditing (ISAs). Our responsibilities under those standards are further described in the *Auditor's Responsibilities for the Audit of the Financial Statements* section of our report.

We believe that the audit evidence we have obtained is sufficient and appropriate to provide a basis for our opinion.

Independence

We are independent of the Company in accordance with the International Ethics Standards Board for Accountants' Code of Ethics for Professional Accountants (IESBA Code). We have fulfilled our other ethical responsibilities in accordance with the IESBA Code.

Other information

Management is responsible for the other information. Other information comprises Management Report (but does not include the financial statements and our auditor's report thereon).

Our opinion on the financial statements does not cover the Management Report.

In connection with our audit of the financial statements, our responsibility is to read the Management Report and, in doing so, consider whether the Management Report is materially inconsistent with the financial statements or our knowledge obtained in the audit, or otherwise appears to be materially misstated.

In addition, we are required by the Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing to express an opinion whether certain parts of the Management Report comply with respective regulatory normative acts and to consider whether the Management Report includes the information required by the Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing.

pwc

If, based on the work we have performed, we conclude that there is a material misstatement in the Management Report, we are required to report that fact. We have nothing to report in this regard.

Based on the work performed in the course of our audit, in our opinion, in all material respects:

- the information given in the Management Report for the financial year for which the financial statements are prepared is consistent with the financial statements; and
- the Management Report includes the information required by the Law of Georgia on Accounting, Reporting and Auditing and complies with respective regulatory normative acts.

Responsibilities of management and those charged with governance for the financial statements

Management is responsible for the preparation and fair presentation of the financial statements in accordance with IFRS for SMEs, and for such internal control as management determines is necessary to enable the preparation of financial statements that are free from material misstatement, whether due to fraud or error.

In preparing the financial statements, management is responsible for assessing the Company's ability to continue as a going concern, disclosing, as applicable, matters related to going concern and using the going concern basis of accounting unless management either intends to liquidate the Company or to cease operations, or has no realistic alternative but to do so.

Those charged with governance are responsible for overseeing the Company's financial reporting process.

Auditor's responsibilities for the audit of the financial statements

Our objectives are to obtain reasonable assurance about whether the financial statements as a whole are free from material misstatement, whether due to fraud or error, and to issue an auditor's report that includes our opinion. Reasonable assurance is a high level of assurance, but is not a guarantee that an audit conducted in accordance with ISAs will always detect a material misstatement when it exists. Misstatements can arise from fraud or error and are considered material if, individually or in the aggregate, they could reasonably be expected to influence the economic decisions of users taken on the basis of these financial statements.

As part of an audit in accordance with ISAs, we exercise professional judgment and maintain professional scepticism throughout the audit. We also:

- Identify and assess the risks of material misstatement of the financial statements, whether due to fraud or error, design and perform audit procedures responsive to those risks, and obtain audit evidence that is sufficient and appropriate to provide a basis for our opinion. The risk of not detecting a material misstatement resulting from fraud is higher than for one resulting from error, as fraud may involve collusion, forgery, intentional omissions, misrepresentations, or the override of internal control.
- Obtain an understanding of internal control relevant to the audit in order to design audit procedures that are appropriate in the circumstances, but not for the purpose of expressing an opinion on the effectiveness of the Company's internal control.
- Evaluate the appropriateness of accounting policies used and the reasonableness of accounting estimates and related disclosures made by management.
- Conclude on the appropriateness of management's use of the going concern basis of accounting and, based on the audit evidence obtained, whether a material uncertainty exists related to events or conditions that may cast significant doubt on the Company's ability to continue as a going concern. If we conclude that a material uncertainty exists, we are required to draw attention in our

auditor's report to the related disclosures in the financial statements or, if such disclosures are inadequate, to modify our opinion. Our conclusions are based on the audit evidence obtained up to the date of our auditor's report. However, future events or conditions may cause the Company to cease to continue as a going concern.

- Evaluate the overall presentation, structure and content of the financial statements, including the disclosures, and whether the financial statements represent the underlying transactions and events in a manner that achieves fair presentation.

We communicate with those charged with governance regarding, among other matters, the planned scope and timing of the audit and significant audit findings, including any significant deficiencies in internal control that we identify during our audit.

PricewaterhouseCoopers Georgia LLC

For and on behalf of PricewaterhouseCoopers Georgia LLC (Reg.# SARAS-F-775813)

Lasha Janelidze (Reg.#SARAS-A-562091)

26 September 2019
Tbilisi, Georgia

EXHIBITIONS' CENTRE JSC
Statement of Financial Position
(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

	Notes	31 December 2018	31 December 2017
ASSETS			
Non-current assets			
Property, plant and equipment	4	33,959	30,445
Investment properties	5	67,076	72,750
Other non-current assets		56	56
Total non-current assets		**101,091**	**103,251**
Current assets			
Inventories		206	202
Trade and other receivables	6	1,491	1,283
Cash and cash equivalents	8	551	5,653
Total current assets		**2,248**	**7,138**
TOTAL ASSETS		**103,339**	**110,389**
EQUITY			
Share capital	9	185	185
Retained earnings		96,242	93,565
TOTAL EQUITY		**96,427**	**93,750**
LIABILITIES			
Non-current liabilities			
Borrowings	10	4,762	9,351
Total non-current liabilities		**4,762**	**9,351**
Current liabilities			
Borrowings	10	319	683
Trade and other payables	11	1,329	2,597
Advances received for sale of investment property	5	495	3,500
Current income tax payable		7	508
Total current liabilities		**2,150**	**7,288**
TOTAL LIABILITIES		**6,912**	**16,639**
TOTAL LIABILITIES AND EQUITY		**103,339**	**110,389**

Approved for issue and signed on behalf of Management on 26 September 2019 by:

Resan Kikava
Chief Executive Officer

Ketevan Jangulashvili
Chief Financial Officer

The accompanying notes on pages 5 to 19 are an integral part of these financial statements.

EXHIBITIONS' CENTRE JSC

Statement of Profit or Loss and Other Comprehensive Income

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

	Notes	2018	2017
Revenues	12	5,671	5,532
Government grants	16	542	-
Cost of organising exhibitions and events	13	(1,818)	(962)
General and administrative expenses	14	(2,349)	(2,192)
Marketing expenses		(155)	(145)
Other operating expenses	15	(1,279)	(1,292)
Operating profit		**612**	**941**
Gain from fair value changes of investment properties, net	5	4,511	11,515
Other non-operating income and expenses, net	17	(650)	(153)
Finance income	18	106	30
Finance costs	19	(528)	(1,902)
Profit before income tax		**4,051**	**10,431**
Income tax expense		(207)	(621)
PROFIT FOR THE YEAR		**3,844**	**9,810**
Other comprehensive income		-	-
TOTAL COMPREHENSIVE INCOME FOR THE YEAR		**3,844**	**9,810**

The accompanying notes on pages 5 to 19 are an integral part of these financial statements.

EXHIBITIONS' CENTRE JSC

Statement of Changes in Equity

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

	Note	Share capital	Retained earnings	Total
At 1 January 2017		**185**	**87,273**	**87,458**
Profit for the year		-	9,810	9,810
Total comprehensive income		-	9,810	9,810
Dividends declared		-	(3,518)	(3,518)
At 31 December 2017		**185**	**93,565**	**93,750**
Profit for the year		-	3,844	3,844
Total comprehensive income		-	3,844	3,844
Dividends declared	9	-	(1,167)	(1,167)
At 31 December 2018		**185**	**96,242**	**96,427**

The accompanying notes on pages 5 to 19 are an integral part of these financial statements.

EXHIBITIONS' CENTRE JSC

Statement of Cash Flows

(Amounts expressed in thousands of Georgian Lari)

	Note	2018	2017
Cash flows from operating activities			
Profit before income tax		4,051	10,431
Adjustments for:			
Depreciation of property, plant and equipment	4,15	536	632
Fair value gain on investment properties	5	(4,511)	(11,515)
Trade receivables written off/(recovery)	15	102	(20)
Charge/(recovery) for impairment of trade receivables, net	6	(6)	229
Loss from disposal of CIP**	17	-	1,282
Loss from disposal of property, plant and equipment	17	-	295
Compensation for loss for advanced received	17	-	1,241
Cost related for issued guarantees	17	-	304
Loss/(gain) from sale of investment properties, net	5	279	(3,638)
Impairment of property plant and equipment	4,17	-	414
Foreign exchange (gain)/loss, net	18,19	(80)	1,021
Interest income		(26)	(30)
Interest expense	19	489	849
Operating profit before working capital changes		**834**	**1,495**
Increase in inventories		(4)	(10)
(Increase)/decrease in trade and other receivables		(345)	403
(Decrease)/increase in trade and other payables		(1,258)	1,449
Interest received		26	30
Interest paid		(489)	(850)
Income tax paid		(709)	(694)
Net cash (used in)/from operating activities		**(1,945)**	**1,823**
Cash flows from investing activities			
Purchase of property, plant and equipment	4	(630)	(873)
Purchase of investment property		(152)	-
Purchase of other non-current assets		-	(20)
Acquisition of financial receivables	6,7	-	(507)
Payments of compensations for advances received for PPE*	17	-	(1,241)
Costs incurred for issue guarantees	17	-	(304)
Proceeds from disposal of property, plant and equipment	4	-	42
Proceeds from investment property sales	5	3,633	29,812
Advances returned for investment property sale	5	-	(20,566)
Net cash from investing activities		**2,851**	**6,343**
Cash flows from financing activities			
Proceeds from borrowings	10	292	10,032
Repayment of borrowings	10	(5,103)	(10,792)
Dividends paid		(1,167)	(3,518)
Net cash used in financing activities		**(5,978)**	**(4,278)**
Effect of exchange rate changes on cash and cash equivalents, net		(30)	(7)
Net (decrease)/increase in cash and cash equivalents		**(5,102)**	**3,881**
Cash and cash equivalents at the beginning of year	8	5,653	1,772
Cash and cash equivalents at the end of year		**551**	**5,653**

** PPE – Property, plant and equipment*

*** CIP - Construction in progress*

1 General Information

These financial statements for Exhibitions' Centre JSC (the "Company") are prepared in accordance with International Financial Reporting Standard for Small and Medium-sized Entities (IFRS for SMEs) for the year ended 31 December 2018.

The Company was set up by Court of Didube-Chughureti district as a joint stock company in accordance with Georgian regulations on 14 April 1993. The Company has identification number: 201990104.

As of 31 December 2018, the Company's shares were held by 50 individual shareholders, with six shareholders in aggregate owning 98.4% of the shares (per Note 9). There is no party that ultimately controls the Company.

The principal business activity of the Company is organisation and conducting of exhibitions, trade fairs and marketing events. The Company is also renting out its freehold premises as office, trade and warehouse spaces. All the Company's operations are held in Georgia.

The Company carries out its business under brand name of "Expo Georgia".

საინვესტიციო ქონების შეფასება. საინვესტიციო ქონების ობიექტები ასახულია რეალური ღირებულებებით, რომლებიც ეყრდნობა დამოუკიდებელი შემფასებლის, Baker Tilly Georgia-ს მიერ მომზადებულ შეფასების ანგარიშებს. კომპანიის საინვესტიციო ქონების შესახებ შეფასების ანგარიშების მომზადების პროცესში გარე შემფასებელს შესადარისი გაყიდვების ფასების განხილვისას არ გაუთვალისწინებია იძულებითი გაყიდვები. საინვესტიციო ქონების თითოეული ობიექტისთვის სამი სააბაზრო ანალოგი განისაზღვრა. ვინაიდან ანალოგები გარკვეულწილად განსხვავდებოდა შეფასებული ქონებისგან, ანალოგი ობიექტების კოტირებული ფასები დაკორექტირდა მათი ადგილმდებარეობის, მდგომარეობის, ზომის, ხელმისაწვდომობისა და ასაკის განსხვავებებისა და მოსალოდნელი ფასდაკლებების გათვალისწინებით, რომლის მიღწევაც შესაძლებელია მომწოდებლებთან მოლაპარაკებების გზით. ამგვარად განისაზღვრა ერთი კვადრატული მეტრის შესადარისი ფასები და შემდეგ გამრავლდა შეფასებული ქონების ფართობზე, რის შედეგადაც მიღებულ იქნა საინვესტიციო ქონების შეფასებული ღირებულება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება. მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების ანარიცხი ეყრდნობა კონკრეტული მომხმარებლების მიმართ არსებული მოთხოვნების ამოღების შესაძლებლობის კომპანიის მიერ განხორციელებულ შეფასებას. თუ გაუარესებულია მთავარი მომხმარებლის გადახდისუნარიანობა ან ვალდებულებების ფაქტობრივი შეუსრულებლობის დონე შეფასებებზე უფრო მაღალია, მოთხოვნების ფაქტობრივი ანგარიშები განსხვავებული იქნება ამ შეფასებებისგან. თუ კომპანია დაადგენს, რომ არ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული მოთხოვნების ანგარიშები გაუფასურებულია, მნიშვნელოვნად ან უმნიშვნელოდ, იგი მოთხოვნების ამ ანგარიშს გააერთიანებს ანალოგიური საკრედიტო რისკის მქონე მოთხოვნების ანგარიშების ჯგუფში და ერთად შეაფასებს ამ ჯგუფის გაუფასურებას. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს შეფასებებისგან და კომპანიის მიერ განსაზღვრული შეფასებები მომავალში შეიძლება გადაისინჯოს და შეიცვალოს უარყოფითად ან დადებითად, ფაქტობრივი შედეგების ან თითოეულ რისკთან დაკავშირებული ფაქტების გათვალისწინებით განსაზღვრული მოსალოდნელი შედეგების მიხედვით.

ფუნქციონირებადი საწარმო. ხელმძღვანელობამ წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მოამზადა ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციისა და ვალდებულებების შესრულებას კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. კომპანიის ფუნქციონირებადობის უარის შეფასებისას ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა კომპანიის ფინანსური მდგომარეობა, მისი საქმიანობის შედეგები, კომპანიის ახლანდელი მიზნები და მომავლის შესახებ იავისი მოლოდინები.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

	მიწა და შენობა-ნაგებობები	მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	ავტომანქანები	ინვენტარი და აღჭურვილობა	დმ* და სხვა	სულ
თვითღირებულება						
2017 წლის 1 იანვრისთვის	**25,779**	**1,343**	**243**	**1,345**	**1,282**	**29,992**
შემოსვლა	738	36	50	49	-	873
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში (შენიშვნა 5)	(2,321)	-	-	-	-	(2,321)
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან (შენიშვნა 5)	8,025	-	-	-		8,025
გასვლა	(279)	(8)	(99)	(1)	(1,282)	(1,669)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**31,942**	**1,371**	**194**	**1,393**	**-**	**34,900**
შემოსვლა	435	23	-	172	-	630
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან (შენიშვნა 5)	3,420	-	-	-	-	3,420
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**35,797**	**1,394**	**194**	**1,565**	**-**	**38,950**
დაგროვილი ცვეთა და ამორტიზაცია						
2017 წლის 1 იანვრისთვის	**1,451**	**969**	**138**	**1,252**	**-**	**3,810**
წლიური ცვეთა	347	110	59	116	-	632
გაუფასურება	414	-	-	-	-	414
გადატანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში (შენიშვნა 5)	(351)	-	-	-	-	(351)
გასვლა	-	(2)	(48)	-	-	(50)
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	**1,861**	**1,077**	**149**	**1,368**	**-**	**4,455**
წლიური ცვეთა	385	27	12	112	-	536
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**2,246**	**1,104**	**161**	**1,480**	**-**	**4,991**
საბალანსო ღირებულება						
2017 წლის 1 იანვრისთვის	24,328	374	105	93	1,282	26,182
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	30,081	294	45	25	-	30,445
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	**33,551**	**290**	**33**	**85**	**-**	**33,959**

(დმ* - დაუმთავრებელი მშენებლობა)

4. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2018 წელს კომპანიამ საინვესტიციო ქონების კატეგორიიდან ძირითადი საშუალებების კატეგორიაში გადაიტანა 3,006 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთი, რომლის მთლიანი საბალანსო ღირებულება იყო 2,766 ათასი ლარი, მისი (ქონების) გამოყენების წესის ცვლილების გამო.

2017 წელს კომპანიამ #1, #2 და #9 პავილიონები, რომელთა მთლიანი საბალანსო ღირებულება იყო 1,970 ათასი ლარი, ძირითადი საშუალებების კატეგორიიდან გადაიტანა საინვესტიციო ქონების კატეგორიაში, ამ ობიექტების (ქონების) გამოყენების წესის ცვლილებასთან დაკავშირებით.

1,282 ათასი ლარის საბალანსო ღირებულების მქონე დაუმთავრებელი მშენებლობის გასვლა მოიცავს ახალი გამოფენების ცენტრის მშენებლობის დაპროექტებისა და კომპანიის ქონების გაუმჯობესების კონცეპტუალური გეგმის შედგენის დანახარჯებს, რომლის მშენებლობა დაწყებული იყო მიწის ნაკვეთზე, რომელიც კომპანიამ გაყიდა 2017 წელს (იხ. მე-5 შენიშვნა).

გირაოში ჩადებული აქტივების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-20 შენიშვნა.

5. საინვესტიციო ქონება

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულებებში განხორციელდა შემდეგი სახის ცვლილებები:

	შენიშვნა	2018 წ.	2017 წ.
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით 1 იანვრის მდგომარეობით		**72,750**	**89,964**
შემოსვლა			
გაყიდვა		152	-
გადატანა ძირითადი საშუალებების კატეგორიიდან	4	(6,917)	(22,674)
გადატანა ძირითადი საშუალებების კატეგორიაში	4	-	1,970
რეალური ღირებულების შემოსულობა ზარალის გამოკლებით		(3,420)	(8,025)
		4,511	11,515
საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით, 31 დეკემბრის მდგომარეობით		**67,076**	**72,750**

საინვესტიციო ქონება ძირითადად მოიცავს მიწის ნაკვეთებსა და პავილიონებს, რომლებიც განკუთვნილია კომპანიის მიერ იჯარით გასაცემად.

2018 წელს კომპანიამ მესამე მხარეებს 2,800 ათას აშშ დოლარად (6,638 ათასი ლარის ეკვივალენტი) მიჰყიდა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 6,549 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 6,917 ათას ლარს. კომპანიამ ასახა ამ საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად მიღებული ნეტო ზარალი 279 ათასი ლარი.

2017 წელს კომპანიამ ძირითადი საშუალებების კატეგორიაში გადაიტანა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 3.006 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 2,766 ათას ლარს, ამ ქონების გამოყენების წესის შეცვლის გამო.

5. საინვესტიციო ქონება (გაგრძელება)

2017 წლის ნოემბერსა და დეკემბერში კომპანიამ მესამე მხარეებს 8,567 ათას აშშ დოლარად (26,312 ლარის ეკვივალენტი) მიჰყიდა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 24,131 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 22,674 ათას ლარს. კომპანიამ ასახა ამ საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად მიღებული წეტო შემოსულობა 3,638 ათასი ლარი.

2017 წელს კომპანიამ ძირითადი საშუალებების კატეგორიაში გადაიტანა მიწის ნაკვეთები, რომელთა მთლიანი ფართობი შეადგენდა 8,541 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 8,025 ათას ლარს, ამ ქონების გამოყენების წესის/მიზნის შეცვლის გამო.

2016 წლის 30 ნოემბერს კომპანიამ ს.ს. თიბისი ბანკთან გააფორმა ხელშეკრულება (რომელიც შეიცვალა 2016 წლის 8 დეკემბერს), რომლის თანახმად 39,500 კვადრატული მეტრის ფართობის მიწის ნაკვეთის მთლიანი ფასი განისაზღვრა 8,290 ათასი აშშ დოლარი (21,338 ათასი ლარის ეკვივალენტი). ს.ს. თიბისი ბანკმა 2016 წელს გადაიხადა ამ მიწის ნაკვეთის მთლიანი ფასის ნაწილი, 7,990 ათასი აშშ დოლარი, ხოლო დარჩენილი 300 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა 2017 წლის 30 აგვისტოს. ხელშეკრულების შესაბამისად, ს.ს. თიბისი ბანკი მაშინ განაცხადებდა უარს ამ მიწის ნაკვეთის გირაოზე, როდესაც კომპანია სრულად დაფარავდა მისთვის გადახდილ საავანსო თანხას. 2016 წლის 8 დეკემბერს კომპანიამ ხელი მოაწერა დამატებით ხელშეკრულებებს და კომპანიას გადაეცა შპს „Sotlemant Management“-ის ყველა დაუფარავი ვალდებულება (8,599 ათასი აშშ დოლარი, 22,759 ათასი ლარის ეკვივალენტი), რომელიც გააჩნდა ს.ს. თიბისი ბანკის მიმართ და იმავე თარიღისთვის სრულად დაიფარა. 2017 წელს კომპანიამ მოიძია ამ ქონების სხვა მყიდველი. 2017 წელს კომპანიამ ს.ს. თიბისი ბანკს სრულად დაუბრუნა საინვესტიციო ქონებისთვის მისთვის გადახდილი საავანსო თანხები.

საინვესტიციო ქონება ასახულია რეალური ღირებულებით, რომელიც განსაზღვრულია გარე შემფასებლის მიერ.

გირაოში ჩადებული აქტივების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-20 შენიშვნა.

კომპანიის მიერ მომდევნო პერიოდში გაყიდული საინვესტიციო ქონების შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად იხილეთ 23-ე შენიშვნა.

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო მოთხოვნები	959	1,084
სხვა ფინანსური მოთხოვნები	507	507
გამოკლებული გაუფასურების ზარალის ანარიცხი	(312)	(318)
სულ ფინანსური მოთხოვნები, ნეტო	**1,154**	**1,273**
გადახდილი ავანსი	337	10
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	**1,491**	**1,283**

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურების ზარალის ანარიცხის ცვლილება საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში:

	2018	2017
გაუფასურების რეზერვი 1 იანვრის მდგომარეობით	**318**	**89**
გაუფასურების ანარიცხი წლის განმავლობაში, ნეტო	(6)	229
გაუფასურების რეზერვი 31 დეკემბრის მდგომარეობით	**312**	**318**

7. გაცემული სესხები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
შპს „Sotlemant Management“-ზე გაცემული სესხი 2,120 ათასი ევრო	5,262	5,262
შპს „Sotlemant Management“-ზე გაცემული სესხი 8,599 ათასი აშშ დოლარი	22,759	22,759
გამოკლებული: ანარიცხი გაცემული სესხებისთვის	(28,021)	(28,021)
სულ გაცემული სესხები	**-**	**-**

შპს „Sotlemant Management“-თან 2015 წლის 1 ნოემბერს გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების შესაბამისად (რომელმაც ჩაანაცვლა 2015 წლის 25 ივნისით, 2015 წლის 30 ივლისითა და 2015 წლის 30 სექტემბრით დათარიღებული წინა ხელშეკრულებები, შესაბამისად), კომპანიამ გასცა 2,120 ათასი ევროს ოდენობის სესხი, რომლის წლიური საპროცენტო განაკვეთია 11%, პროცენტი გადასახდელია ყოველთვიურად და სესხის დაფარვის ვადაა 2025 წლის 20 ოქტომბერი.

2016 წლის 8 დეკემბერს კომპანიამ ხელი მოაწერა ს.ს. თიბისი ბანკთან და შპს „Sotlemant Management“-თან ხელშეკრულებებს, რომელთა თანახმად კომპანიას გადაეცა შპს „Sotlemant Management“-ის ყველა დაუფარავი ვალდებულება (8,599 ათასი აშშ დოლარი, 22,759 ათასი ლარის ეკვივალენტი), რომელიც გააჩნდა ს.ს. თიბისი ბანკის მიმართ, რაც კომპანიამ სრულად დაფარა. იხ. მე-5 შენიშვნა.

8. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ნაღდი ფული	2	10
მიმდინარე ანგარიშები ბანკებში	549	-
შეზღუდული ანგარიში ბანკში	-	5,643
სულ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	**551**	**5,653**

9. სააქციო კაპიტალი

2018 წლის 31 დეკემბრისა და 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი წარმოდგენილი იყო შემდეგი სახით:

გამოსაშვებად ნებადართული აქციების რაოდენობა	გამოშვებული აქციების რაოდენობა	ჩვეულებრივი აქციები (ათასი ლარი)
97,294	97,294	185

ყველა გამოშვებული აქცია მთლიანად ანაზღაურებულია და ყველა მათგანს საერთო კრებებზე ხმის მიცემისა და დივიდენდების მიღების თანაბარი უფლება აქვს.

კომპანიის აქციების მესაკუთრეები არიან:	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
ბ-ონ. დავით ახვლედიანი	24.58%	24.58%
ბ-ონ. ამირან ბურჭულაძე	22.58%	22.58%
ბ-ონ. კახაბერ გველესიანი	24.58%	24.58%
ბ-ონ. თეიმურაზ ჩიხლაძე	12.75%	12.75%
ბ-ონ. ლადო ჩიხლაძე	11.83%	11.83%
ქალბ-ონ. ნატალია ბონდარენკო	2.00%	2.00%
სხვა კერძო პირები	1.68%	1.68%

2018 წლის 9 მარტს კომპანიამ გამოაცხადა 1,167 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები და 2018 წლის განმავლობაში სრულად გასცა.

2017 წლის 25 იანვარს კომპანიამ გამოაცხადა 268 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები და 2017 წლის 27 დეკემბერს სრულად გასცა.

2017 წლის 1 დეკემბერს კომპანიამ გამოაცხადა 3,250 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები და 2017 წლის 27 დეკემბერს სრულად გასცა.

2017 წელს კომპანიის საკუთრების სტრუქტურაში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

- ბ-ონმა თეიმურაზ ჩიხლაძემ თავისი კუთვნილი სააქციო წილის 11.83% გადასცა ბ-ონ ლადო ჩიხლაძეს;
- ბ-ონმა ამირან ბურჭულაძემ თავისი კუთვნილი სააქციო წილის 2.00% გადასცა ქალბატონ ნატალია ბონდარენკოს.

10. ნასესხები სახსრები

	დაფარვის თარიღი	% წლიური	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
მოკლევადიანი:				
ს.ს. თიბისი ბანკი – 3,276,000 ევრო	22 ოქტომბერი 2027	7.8%	241	683
ს.ს. თიბისი ბანკი – 200,000 ევრო	17 დეკემბერი 2024	7.8%	78	-
სულ მოკლევადიანი:			319	683
გრძელვადიანი:				
ს.ს. თიბისი ბანკი – 3,276,000 ევრო	22 ოქტომბერი 2027	7.8%	4,537	9,351
ს.ს. თიბისი ბანკი – 200,000 ევრო	17 დეკემბერი 2024	7.8%	225	-
სულ გრძელვადიანი:			4,762	9,351
სულ ნასესხები სახსრები			5,081	10,034

2018 წელს კომპანიამ ორჯერ განახორციელა ს.ს. თიბისი ბანკიდან აღებული სესხის (#435306-9249847-3,275,834 ევრო) რესტრუქტურიზაცია. 2018 წლის 22 მარტს კომპანიამ შეათანხმა სესხის დაფარვის შეცვლილი გრაფიკი. 2019 წლის 17 დეკემბერს საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 8.5%-დან 7.8%-მდე.

2018 წლის 18 აპრილს კომპანიამ საოპრაციო ხარჯების დაფინანსების მიზნით ს.ს. თიბისი ბანკიდან აიღო ახალი სესხი (#435306-9780437 - 200,000 ევრო), რომლის საპროცენტო განაკვეთი იყო 8.5%, ხოლო დაფარვის თარიღი – 2018 წლის 10 ივლისი. მოგვიანებით ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებების შედეგად სესხის დაფარვის ვადა გადავადდა 2021 წლის 18 აპრილამდე. 2018 წლის 17დეკემბერს შეიცვალა სესხის დანიშნულება, კერძოდ, სესხის მიზანი გახდა კაპიტალური ხარჯების, დაფინანსება, საპროცენტო განაკვეთი შემცირდა 7.8%-მდე, ხოლო დაფარვის თარიღი გახანგრძლივდა 2024 წლის 17 დეკემბრამდე.

2017 წლის 3 ნოემბერს კომპანიამ განახორციელა ს.ს. თიბისი ბანკის არსებული სესხის (#494886 - 3,800,000 ევრო) რესტრუქტურიზაცია. საპროცენტო განაკვეთი 9%-დან 8.5%-მდე შემცირდა, ხოლო სესხის დაფარვის ვადა გაიზარდა 2025 წლის 20 ოქტომბრიდან 2027 წლის 22 ოქტომბრამდე.

ნასესხები სახსრებისთვის გირაოში ჩადებული აქტივების შესახებ ინფორმაციის მისაღებად იხილეთ მე-20 შენიშვნა.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	398	240
მომხმარებლებისგან მიღებული საავანსო გადახდები	790	694
სხვა გადასახდელი გადასახადები	141	1,663
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	**1,329**	**2,597**

12. ამონაგები

	2018	2017
გამოფენების მომსახურება	2,920	2,579
საიჯარო შემოსავალი	1,697	1,943
ღონისძიებების ორგანიზება	1,054	1,010
სულ ამონაგები	**5,671**	**5,532**

13. გამოფენებისა და ღონისძიებების ორგანიზების დანახარჯები

	2018	2017
წვეულების საჭმელ-სასმელის დანახარჯი	404	349
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	336	-
რეკლამის ხარჯი	244	179
ხელფასების ხარჯი	194	184
დროებითი ნაგებობების დამონტაჟების დემონტაჟის დანახარჯები	168	-

დალაგება-დასუფთავების დანახარჯი	79	55
მოწყობილობების საიჯარო ქირის დანახარჯი	61	45
სასტუმროს ხარჯები	46	-
ტრანსპორტირების ხარჯი	42	24
საკომუნიკაციო ხარჯები	22	24
სხვა ხარჯები	222	102
სულ გამოფენებისა და ღონისძიებების ორგანიზების დანახარჯები	**1,818**	**962**

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2018	2017
ხელფასების ხარჯი	2,021	1,943
კომუნალური მომსახურების ხარჯები	75	65
სარემონტო და ტექმომსახურების ხარჯები	66	34
ოფისის ხარჯები	52	52
სხვა ხარჯები	135	98
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	**2,349**	**2,192**

15. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2018	2017
ცვეთა და ამორტიზაცია	536	632
გადასახადები	271	206
დაცვის ხარჯები	173	113
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების ჩამოწერა/(აღდგენა)	102	(20)
საკონსულტაციო მომსახურების ხარჯები	72	79
სავაჭრო და სხვა მოთხოვნების გაუფასურება/(აღდგენა)	(6)	229
სხვა საოპერაციო (შემოსავალი)/ხარჯები - ნეტო	131	53
სულ საოპერაციო ხარჯები	**1,279**	**1,292**

16. სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტები მოიცავს შემოსავალს, რომელიც კომპანიამ მიიღო „თბილისის ხელოვნების ბაზრობა - 2018“ ორგანიზებაში დახმარების მიზნით, შემდეგი მხარეებისგან:

	2018	2017
თბილისის მუნიციპალიტეტი	380	-
საქართველოს ეროვნული ტურიზმის ადმინისტრაცია	147	-
აშშ-ის საელჩო საქართველოში	15	-
სულ სახელმწიფო გრანტები	**542**	**-**

17. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი და ხარჯები, ნეტო

	2018	2017
სხვა შემოსავალი	96	336
საინვესტიციო ქონების გაყიდვასთან დაკავშირებით გადახდილი დანამატი	(467)	(591)
(ზარალი)/შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან, ნეტო	(279)	3,638
ზარალი დაუმთავრებელი მშენებლობის გაყიდვიდან	-	(1,282)
საინვესტიციო ქონებისთვის მიღებულ საავანსო გადახდებთან დაკავშირებით გადახდილი ჯარიმა	-	(1,241)
ძირითადი საშუალებების გაუფასურება	-	(414)
გაცემულ გარანტიებთან დაკავშირებით მიღებული ზარალი	-	(304)
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებით მიღებული ზარალი, ნეტო	-	(295)
სულ არასაოპერაციო ხარჯები, ნეტო	**(650)**	**(153)**

18. ფინანსური შემოსავალი

	2018	2017
საკურსო სხვაობებით განპირობებული ზარალი, შემოსულობების გამოკლებით	80	-
საპროცენტო შემოსავალი	26	30
სულ საპროცენტო შემოსავალი	**106**	**30**

19. ფინანსური დანახარჯები

	2018	2017
საკურსო სხვაობებით განპირობებული ზარალი, შემოსულობების გამოკლებით	-	1,021
საპროცენტო ხარჯი	489	849
ბანკის საკომისიო გადასახდელები	39	32
სულ ფინანსური დანახარჯები	**528**	**1,902**

20. პირობითი მოვლენები და ვალდებულებები

საგადასახადო კანონმდებლობა. საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და ახასიათებს კანონმდებლობის, ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების ხშირი ცვლილებები, რომლებიც ხშირად გაურკვეველია, ერთმანეთს ეწინააღმდეგება და სხვადასხვა საგადასახადო ორგანოს მხრიდან განსხვავებული ინტერპრეტაციის საგანი ხდება. გადასახადებს იხილავს და იკვლევს მთელი რიგი სახელმწიფო ორგანოებისა, რომლებსაც სერიოზული საურავების, ჯარიმებისა და პროცენტების გადახდის დაკისრების უფლება აქვთ. თითოეული საგადასახადო წელი საგადასახადო ორგანოების მხრიდან განხილვისთვის ღიად რჩება სამი მომდევნო კალენდარული წლის განმავლობაში, თუმცა, გარკვეულ გარემოებებში, საგადასახადო წელი შესაძლოა უფრო დიდ ხანს

20. პირობითი მოვლენები და ვალდებულებები (გაგრძელება)

დარჩეს ღიად განხილვისთვის. ასეთმა ვითარებამ საქართველოში შესაძლოა გამოიწვიოს საგადასახადო რისკები, რომლებიც არსებითად უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანაში. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მათ ადეკვატურად შეასრულეს საგადასახადო ვალდებულებები საქართველოს სათანადო საგადასახადო კანონმდებლობის, სხვა ოფიციალური დოკუმენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების საკუთარ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით. თუმცა, შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამან შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე, თუკი აღნიშნული ორგანოები წარმატებას მიაღწევენ საკუთარი ინტერპრეტაციების სისრულეში მოყვანაში.

გირაოში ჩადებული და შეზღუდული აქტივები. შემდეგ ცხრილში ნაჩვენებია იმ აქტივების ღირებულებები, რომლებიც გირაოში იყო ჩადებული სესხის უზრუნველყოფის სახით სხვადასხვა ხელშეკრულების მიხედვით:

ხელშეკრულებები	შენიშვნა	2018 წლის 31 დეკემბერი	2017 წლის 31 დეკემბერი
საინვესტიციო ქონება			
ს.ს. თიბისი ბანკიდან აღებული სესხები	10	15,926	14,213
ძირითადი საშუალებები			
ს.ს. თიბისი ბანკიდან აღებული სესხები	10	3,358	3,135
სულ		**19,284**	**17,348**

შემზღუდავი პირობების (კოვენანტების) შესრულება. კომპანიას ევალება სასესხო ხელშეკრულებით დაწესებული გარკვეული შემზღუდავი პირობების შესრულება, რომლებიც ძირითადად დაკავშირებულია ს.ს. თიბისი ბანკიდან ნასესხებ სახსრებთან. ამგვარი პირობების (კოვენანტების) შეუსრულებლობამ შესაძლოა კომპანიისთვის უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, მათ შორის ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯების გაზრდა და დეფოლტის გამოცხადება. 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას შესრულებული ჰქონდა ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული შემზღუდავი პირობები (კოვენანტები).

კომპანიის, როგორც მეიჯარის საოპერაციო იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულებები. კომპანიას გრძელვადიანი იჯარით აქვს გაცემული თავისი ქონება. არსებული საიჯარო ხელშეკრულებებით გათვალისწინებული საიჯარო ქირები პერიოდულ გადახედვას ითვალისწინებს.

21. დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციები და ნაშთები

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული შემოსავლისა და ხარჯების მუხლები:

	2018	2017
სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული საოპერაციო შემოსავალი - Piramida + 1	15	260

დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული გადავადებული ნაშთები:

	31 დეკემბერი, 2018 წ.	31 დეკემბერი, 2017 წ.
სხვა დაკავშირებული მხარისგან მიღებული საოპერაციო შემოსავალი - Piramida + 1	134	119

უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა მოიცავს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს, კომპანიის დირექტორსა და ფინანსურ დირექტორს. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები არიან აქციონერები, რომლებსაც შეუძლიათ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა კომპანიაზე. ანაზღაურება, რომელსაც უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობას უხდიან აღმასრულებელი ხელმძღვანელის თანამდებობაზე სრული განაკვეთით მუშაობისთვის, მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ბენეფიტსა და კომპანიის საქმიანობის ფინანსურ შედეგებთან დაკავშირებულ პრემიებს. მათი ანაზღაურების მთლიანმა თანხამ შეადგინა 599 ათასი ლარი (2017 წ.: 685 ათასი ლარი), რაც ასახული იყო საერთო და ადმინისტრაციულ და არასაოპერაციო ხარჯებში.


22. ფინანსური ინსტრუმენტები


	2018	2017
ფინანსური აქტივები		
მოგება-ზარალით ან სხვა სრული შემოსავლით სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები, მათ შორის:		
- ინვესტიციები კაპიტალის ინსტრუმენტებში	1,705	6,926
ფინანსური ვალდებულებები		
ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულებები	5,479	10,274

23. საანგარიშგებო თარიღის შემდეგი მოვლენები

2019 წლის იანვარში კომპანიამ 569 ათასი აშშ დოლარის ეკვივალენტად ლარში გაყიდა საინვესტიციო ქონება, რომლის მიწის ნაკვეთის მთლიანი ფართობი შეადგენდა 1,138 კვადრატულ მეტრს და მთლიანი საბალანსო ღირებულება - 1,499 ათას ლარს.

2019 წლის 8 იანვარს კომპანიამ გამოაცხადა 940,000 ათასი ლარის ოდენობის დივიდენდები. აქციონერები, რომელბიც 2%-ზე მეტ წილს ფლობენ, აღნიშნულ დივიდენდს მიიღებენ თანაბარ ნაწილაებად გაყოფილს, ყოველი თვის ბოლოს 2019 წლის ბოლომდე.


ქვენი
იმედო
ორტნიორი
ლის მმართველობის ანგარიშგება
ნიის საქმიანობის მიმოხილვა
xpo
eorgia



შინაარსი

2 **მოკლე მიმოხილვა**

2 მისია

2 ხედვა

2 ბიზნეს საქმიანობები

2 ძირითადი ფინანსური შედეგები

2 ძირითადი საოპერაციო შედეგები

განვითარების მიმოხილვა

სტრატეგიული კომპონენტი

ბიზნეს მოდელი

სტრატეგია

2018 წლის სტრატეგია

ძირითადი სტრატეგიული მიმართულებები

ისკები და გაურკვევლობები

ზნეს შედეგები

ქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

მიანობასთან დაკავშირებული

ვა შედეგები

იალური პასუხისმგებლობა

ვები და განვითარება

მიმოხილვა

ხედვა

ვიყოთ ადგილობრივი და რეგიონალური ბაზრების განვითარებისა და პოპულარიზაციის საიმედო მხარდამჭერი და ქვეყანასა და რეგიონში ინდუსტრიების, კომპანიების და ეკო-სისტემის განვითარების სანდო ხელშემწყობი.

ი ბაზრის, ინდუსტრიების და კომპანიების განვითარების და ის ხელშეწყობა, მაღალი ხარისხის და ღონისძიებების ორგანიზების იც იქნება მომწოდებლების და ების შეხვედრის ადგილი და გახდება დუსტრიების რეალური მიკრო

ააქმიანობები

ჩვენი ერთ-ერთი უნიკალური თულებაა გამოფენების და რობების შემუშავება და ორგანიზება.

ის იჯარა: ჩვენ ვთავაზობთ ას იჯარით საოფისე და საწყობი ოურუმის მოწყობისთვის.

ღონისძიებები: კომპანიებსა და საცალო კლიენტებს ჩვენ ვთავაზობთ ღონისძიებების მენეჯმენტისა და ორგანიზების სერვისს, რომელიც ასევე ითვალისწინებს საკვებისა და სასმელების მიწოდების მომსახურებას და ტექნიკურ მხარდაჭერას.

ადი ფინანსური შედეგები

ი 2018 წელს

მაჩვენებელი

ლებისთვის

საოპერაციო მოგება

2018 წელს

სამიზნე მაჩვენებელი

2019-2020 წლებისთვის

ROE

2018 წელს

სამიზნე მაჩვენებელი

2019-2020 წლებისთვის

ადი საოპერაციო შედეგები

ლიერებლების ობა

საერთაშორისო მონაწილეების რაოდენობა

2018 წელს

მონაწილეების საშუალო კმაყოფილების დონე

2018 წელს

2017 წელს

დი საოპერაციო შედეგები

იერებლების

ლების დონე

კლიენტების ლოიალობის მაჩვენებელი

2018 წელს

2017 წელს

არების მნიშვნელოვანი მოვლენები

ნ ჩვენ ვმასპინძლობთ

კუთვნილია
ებისა და ფორუმებისთვის.

კომპანია გახდა
ის ინდუსტრის
ი ასოციაციის

გ მასპინძლობს
იერ ავტორიზებულ

ე გამოფენას -
ა და რეკლამის ბაზრობას.

2000 წლისთვის დავამატეთ 6 ახალი გამოფენა

2011 წლისთვის ჩვენ ორგანიზება გავუწიეთ 4 ახალ გამოფენას -

2018 წელს მოვაწყეთ 2 ახალი გამოფენა

ნატეგიული კომპონენტი

ნეს მოდელი

ჯორჯია" ერთადერთი საგამოფენო ცენტრია
ველოში და აგრეთვე ერთ-ერთი წამყვანი
კავკასიის რეგიონში. კომპანია
ზებას უწევს გამოფენებს, სხვადასხვა სახის
ენციებს, კონგრესებსა და ღონისძიებებს.

ფენო ცენტრის ისტორია 1958 წელს იწყება.
ს ქვეყანამ დროებითი საგამოფენო
ონები ააშენა და თბილისის 1500 წლის
ს აღსანიშნავად მოაწყო ინდუსტრიული
ს გამოფენა. ფართო მასშტაბიანი
ბლო სამუშაოები 1961 წელს დაიწყო და
ე თბილისის ცენტრში განთავსდა 11
ონი, სათბური, აუზი და პარკი. საბჭოთა
ში საგამოფენო ცენტრში საბჭოთა
ბის ხაზგასასმელად, ეწყობოდა
რიისა და სოფლის მეურნეობის
ნტული გამოფენები. წელიწადში ერთხელ
თმობოდა საერთაშორისო გამოფენებს.
წლებში მოხდა ორგანიზაციის
ბირება და კომპანია გარდაიქმნა სააქციო
ოებად. ინფრასტრუქტურა განახლდა.
ორჯია"-ს დაეკისრა მნიშვნელოვანი როლი
სრივ. უცხოური კაპიტალის მობიდვა
ელოში და მეორე მხრივ, ქართული
ისათვის საერთაშორისო ბაზრების გახსნა.

ების და ღონისძიებებისათვის
ილია 10 000 კვ.მ დახურული ფართი და 8
ია საგამოფენო ფართი. პავილიონების
ი მერყეობს 300 კვ.მ-დან 1700 კვ.მ-მდე. მე-11
ნი არის ყველაზე დიდი, მისი ფართობი
1 690 კვ.მ-ს და შეუძლია დაიტიოს 30 000
მდე.

ს კომპანია გაწევრიანდა საგამოფენო
სა და ორგანიზატორების საერთაშორისო
აში - UFI და მიიღო სრულფასოვანი წევრის
გამოფენების ორგანიზატორისა და
ების ცენტრის კატეგორიაში.



წლების განმავლობაში, „ექსპო ჯორჯია"-ს ღონისძიებები გახდა შესანიშნავი ფორუმი გადაწყვეტილების მიმღებთათვის – ახალი პროდუქტის შესაფასებლად, კონტაქტების დასამყარებლად, მიმწოდებლებთან ურთიერთობების გასაფართოებლად და შესყიდვების განსახორციელებლად. ბევრი ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანია „ექსპო ჯორჯია"-ს მიიჩნევს საიმედო პარტნიორად და მნიშვნელოვან მოკავშირედ ბიზნეს ურთიერთობების დამყარებისა და განვითარების საქმეში.

ჩვენს პორტფელს წლების განმავლობაში დავამატეთ რიგი ახალი გამოფენებისა:

2005 წელი - საქართველოს პოლიგრაფიისა და რეკლამის გამოფენა;

UFI-ს მიერ ავტორიზებული ღონისძიება სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენა (მას შემდეგ კომპანია მასპინძლობს ამ ღონისძიებას)

2007 წელი - ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა

2010 წელი - საერთაშორისო განათლების გამოფენა

2011 წელი - სილამაზის საერთაშორისო ფორუმი, თბილისის წიგნების დღეები

2018 წელი - თბილისის ხელოვნების ბაზრობა, სკოლების გამოფენა

ჩვენი ბიზნეს მოდელი მოიცავს სამ საოპერაციო მიმართულებას:

გამოფენები

ჩვენი ერთ-ერთი უნიკალური ბიზნეს მიმართულებაა გამოფენების და სავაჭრო ბაზრობების შემუშავება და ორგანიზება. გამოფენების ორგანიზება ხდება სხვადასხვა ინდუსტრიის და ბიზნესის წარმომადგენლებისთვის და ასევე, ფიზიკური პირებისთვის. ჩვენ ყოველწლიურად ორგანიზებას ვუწევთ 8-12 გამოფენას.

გამოფენების ორგანიზება ხდება კომპანიის კუთვნილ ტერიტორიაზე და გამოფენის მონაწილეები არიან ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც ოპერირებენ, როგორც საქართველოს, ასევე კავკასიის ბაზარზე. ჩვენი პორტფელის მნიშვნელოვანი გამოფენებია:



ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების საერთაშორისო გამოფენა

ერთადერთი საერთაშორისო ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების გამოფენა საქართველოსა და მთელ კავკასიის რეგიონში წარმოადგენს ღვინის მრეწველობის, პროდუქციისა და მომსახურების სრულ სპექტრს. აქედან გამომდინარე, ეს უნიკალური შანსია მწარმოებლებისა და ექსპორტიორებისთვის, მიაღწიონ წარმატებას ბიზნეს შესაძლებლობების ახალ ბაზარზე.



ოვნების ბაზრობა (TAF)

ოვნების საერთაშორისო
მეტწილად შავ, კასპიისა და ბალტიის ზღვების
ტ და სიცოცხლით სავსე დაწყებ სახელოვნებო
ლოვნების ბაზრობებზე ჯერ არ წარმოდგენილა.
აზრობა არის ადგილი, სადაც კოლექციონერები,
მომადგენლები და ხელოვნების სფეროს
ვრცეში აღმოაჩენენ ხელოვანებსა და გალერეებს
ორებიცა: საქართველო, სომხეთი, ირანი, თურქეთი,
ტვა, სლოვენია, აზერბაიჯანი, ესტონეთი, რუმინეთი,
ბულგარეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, ყაზახეთი, საუდის
იანებული საემიროები და სხვა.



ტურიზმის საერთაშორისო გამოფენა

ღონისძიება უზრუნველყოფს ინდუსტრიის განვითარების ხელშემწყობ პლატფორმას ადგილობრივი, რეგიონალური და გაშყვანი
ტურიზმის სფეროსთვის მთელ კავკასიის რეგიონში. საქართველოს გეოპოლიტიკური ადგილმდებარეობა და მზარდი სამთავრობო ინტერესი ტურიზმის განვითარების კუთხით, გამოფენას აძლევს საშუალებას, გახდეს საერთაშორისო ცენტრი ტურიზმის ინდუსტრიისთვის კავკასიაში.

ა და ინტერიერის ისო გამოფენა

ვილესი და ყველაზე პოპულარული ინდუსტრიული ღონისძიება თელ კავკასიის რეგიონში. მისი არსებობის ორი ათეული წლის ებლობისა და ინტერიერის საერთაშორისო გამოფენა რც კარგად დამკვიდრებული და აღიარებული ღონისძიება, ისო მნიშვნელობითა და ღირებულებით. ღონისძიება ალურ შესაძლებლობებს სამშენებლო მასალების, ტექნიკის, ა სერვისების მიმწოდებლებისათვის, შეხვდნენ საქართველოსა და ლო კომპანიებს, დეველოპერებს, არქიტექტორებს, ხელისუფლების ბ და სხვა მნიშვნელოვან პირებს ინდუსტრიიდან, გაცვალონ აცია და გააფორმონ ხელშეკრულებები. გამოფენის მიზანია, ხელი ის უფრო სწრაფ მოხვედრას ქართულ ბაზარზე. ჩვენ ვთავაზობთ, ადგილობრივ კომპანიებს პლატფორმას, სადაც შეხვდებიან ამყარებენ ნაყოფიერ პარტნიორობას, იმისათვის, რომ შექმნან ის ქსელი, მიიღონ ურთიერთ სარგებელი და ბიზნესის ზრდა.





საერთაშორისო განათლების გამოფენა

გახდა საქართველოს ძირითადი საგანმანათლებლო გამოფენა, სადაც ათასობით სერიოზული და მოტივირებული სტუდენტი და მათი ოჯახები ხვდებიან განათლების პრესტიჟულ პროვაიდერებს მთელი მსოფლიოდან. ღონისძიება იზიდავს პერსპექტიულ სტუდენტებს, დაინტერესებულ მშობლებს, მეცნიერებსა და აკადემიურ პერსონალს, ასევე ამ სფეროსთან დაკავშირებულ პროფესიონალებს.

კოლების გამოფენა

ამოფენა საშუალებას აძლევს მშობლებს, სრული წარმოდგენა
ქმნან ბაზარზე არსებული სკოლების და მათი პროგრამების შესახებ. სასკოლო
ოგრამების გარდა, გამოფენაზე მოსულ მშობლებს საშუალება აქვთ, დაგეგმონ
ლების არჩევდეგები საქართველოში და საზღვარგარეთ სამაფეხურო/სათხილამურო
ოლებსა და ენის ცენტრებში, აირჩიონ სპორტული და სახელოვნებო წრეები,
საართობი ცენტრები. აქ ნებისმიერი ასაკის ბავშვის მშობელს შეუძლია, მიიღოს
თვის საინტერესო ინფორმაცია, აგრეთვე, გაეცნოს ენის შემსწავლელი ცენტრების
თავაზებებს და გაცვლით პროგრამებს.





სოფლის მეურნეობის, კვების მრეწველობის, გადამამუშავებელი და შემფუთველი ტექნოლოგიების გამოფენა

მისი არსებობის 19 წლის განმავლობაში გამოფენა დიდი
ისტორიისა და ტრადიციის მქონე ღონისძიებად იქცა. ყოველწლიურად გამოფენა
იზიდავს მრავალ პროფესიონალ ადგილობრივ და საერთაშორისო ვიზიტორს, მსხვილ
შემსყიდველს, მაღალი დონის ექსპერტსა და სამთავრობო მხარდაჭერას და მონაწილეებს
აძლევს შესაძლებლობას, წარადგინონ თავისი ახალი პროდუქტები და სერვისები
კავკასიის განვითარებად ბაზარზე. გამოფენა ქმნის უნიკალურ პლატფორმას, რომელიც
შესაძლებლობას იძლევა, წარმოადგინოთ პროდუქტები და შომსახურება,
დაუკავშირდეთ მიზნობრივ ჯგუფებს და მაღალი რანგის თანამდებობის პირებს, კვების
მრეწველობის პროფესიონალებსა და პოტენციურ მყიდველებს, ასევე, იდენტიფიცირება
მოახდინოთ და შეისწავლოთ ბიზნეს და საინვესტიციო შესაძლებლობები
საქართველოში და მთელ კავკასიის რეგიონში.

ბილისის წიგნის დღეები

ის წიგნის ხელოვნების ცენტრის და „ექსპო ჯორჯია"-ს
თობლივი პროექტი. წიგნის დღეების ინიციატორთა სურვილია, გავაფართოვოთ
ილისის წიგნის საერთაშორისო ფესტივალის ფორმატი და წიგნების ტრადიციულ
ოფენა-გაყიდვასთან ერთად, მკითხველ საზოგადოებას მრავალფეროვანი
ტურული, საგანმანათლებლო და გასართობი პროგრამა შევთავაზოთ:
რთაშორისო ვორკშოპები და გამოფენები, საჯარო ლექციები, საბავშვო
ნისძიებები, წიგნების კითხვა და დისკუსიები.





თბილისის ჯანდაცვის ფორუმი

ეს ახალი გამოფენა ორი უძველესი გამოფენის
გაერთიანებით შეიქმნა. ეწყობა სამი პარალელური სავაჭრო
გამოფენა, რომლებიც ერთი კონცეფციის ქვეშ ერთიანდება.

ვათერმ თბილისი და ELCOMM კავკასია

ორგანიზება გავუწიეთ თბილისის გათბობის, წყალმომარაგების, სანტექნიკის,
ილაციისა და კონდიცირების გამოფენას.
ამოფენა ნარმოაჩენს ენერგეტიკის ინდუსტრიის გამოწვევებსა და
აძლებლობებს და უზრუნველყოფს პლატფორმას მნიშვნელოვანი
აწყვეტილებებისათვის.



ნისძიებები:

ნიებსა და საცალო კლიენტებს ვთავაზობთ
ძიებების
მენტსა და ორგანიზებას, რაც მოიცავს
ბით და სასმელებით მომსახურებას და
ლოგიურ მხარდაჭერას. ღონისძიებების
ნიზების ბიზნეს მიმართულების

ტები არიან კომპანიები და საერთაშორისო
იზაციები. ეს მიმართულება
იისწინებს საშუალო და დიდი ზომის
ძიებების ორგანიზებას, როგორიცაა
რატიული ღონისძიება, კონფერენცია,
ესი, ტრენინგი ან სემინარი. „ექსპო
ა“ ერთადერთი საგამოფენო ცენტრია
თველოში, რომელსაც შეუძლია
ნძლოს 1500-ზე მეტ მონაწილეზე გათვლილ
ძიებას. საცალო
არებლები არიან „ექსპო ჯორჯია“-ს ისეთი
ძიებების მომხმარებლები,
ნიცაა ტრენინგები, ფოტო/ვიდეო
ებები და სხვა. ჩვენ ვთავაზობთ
ძიების ორგანიზებას, როგორც ჩვენს
ლ პავილიონებში, ისე მის გარეთ.
ლს კომპანიამ განახორციელა 100-ზე მეტი
ძიება, რომელთაგან 21% არის
თი ღონისძიებები.

ავი ქონების იჯარა:

ძრავი ქონების ნაწილს ვიყენებთ იჯარით
ად.
ლიენტები არიან სხვადასხვა ზომის
იები, რომლებიც ქირაობენ ფართს
ედ, სასაწყობოდ ან/და შოურუმის
ობად. ჩვენს კლიენტებს შორის არიან:
ლი, ბილაინი, m2 უძრავი ქონება.



სტრატეგია

2018 წლის სტრატეგია

2018 წელს ჩვენი საქმიანობის სტრატეგიული მიზნები შემდეგ მიმართულებს მოიცავდა:

- არსებული, რეგულარული გამოფენების კონცეფციების დახვეწა, მონაწილეებისა და ვიზიტორებისთვის მათი მიმზიდველობის გაზრდის მიზნით;
- ახალი საერთაშორისო და ადგილობრივი გამოფენების ორგანიზება;
- ღონისძიებების მიმართულებით ბაზრისთვის მიმზიდველი შეთავაზებების მომზადება;
- დამატებითი საიჯარო ფართების შექმნის მიზნით, პარტნიორ სამშენებლო კომპანიებთან ერთად, სამშენებლო პროექტების დაგეგმვა და განხორციელების დაწყება;
- რეგულარული აქტივობების მოწყობა, პროფილური ღონისძიებების ორგანიზება, საკვებისა და სასმელების მომსახურების მიმართულების განვითარება.

2018 წელს ჩვენი გამოწვევა იყო უძრავი ქონების იჯარის პორტფელის გაუმჯობესება, რისთვისაც მთელი წლის განმავლობაში, აქტიურად ვაწარმოებდით კომპანიებთან მოლაპარაკებებს.

2018 წლის სტრატეგიის შესაბამისად, ჩვენ:
- განვაახლეთ სამი რეგულარული გამოფენის კონცეფცია;
- ორგანიზება გავუკეთეთ ორ ახალ გამოფენას - თბილისის ხელოვნების ბაზრობასა და სკოლების გამოფენას;
- შევიმუშავეთ ღონისძიებების პაკეტი პოტენციური კლიენტებისთვის და დავიწყეთ აქტიური სარეკლამო კამპანია;
- გავაძლიერეთ საკვებისა და სასმელების მომსახურების ბიზნეს მიმართულება;
- დავიწყეთ მოლაპარაკებები პარტნიორ დეველოპერულ/სამშენებლო კომპანიებთან;

ძირითადი სტრატეგიული

მომავალი ორი წლისთვის ჩვენი საქმიანობის სტრატეგიული მიზნები შემდეგი მიმართულებით განვსაზღვრეთ:
- ბიზნეს ცენტრის სტატუსის გამყარებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარება;
- არსებული კვების ობიექტის გაფართოება და დამატებითი კვების ობიექტების შექმნაზე მუშაობის დაწყება;
- არსებული გამოფენების გაუმჯობესება და წლის განმავლობაში ერთი ახალი საგამოფენო პროდუქტის დამატება;
- ღონისძიებების მიმართულებით პროაქტიური გაყიდვების დაწყება.

ბისკები და გაურკვევლობები

აოპერაციო რისკები:

ქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენს
ბნეს პროცესებში ვიყენებთ
ვადასხვა სახის მანქანა-მოწყობილობებს და
ექნოლოგიებს, როგორიცაა
რანსპორტი, ღონისძიებების ორგანიზებისთვის
ქირო მოწყობილობები, გამოფენების
ვილიონების მოსაწყობი მასალები და
წყობილობები, ასევე სასმელი და საკვები
მსახურებისთვის (catering) საქირო
წყობილობები. ამგვარად, კომპანიის საქმიანობა
კავშირებულია ჯანმრთელობის და უსაფრთხოების
ისკებთან, რომლის მართვასაც
ხორციელებთ კარგად შემუშავებული
აფრთხოებისა და ჯანდაცვის
ოცედურებით. გარდა ამისა, ტექნიკურ სამუშაოებში
რთული თანამშრომლები
აზღვეულნი არიან უბედურ შემთხვევაზე.
ქმიანობაში ტექნოლოგიებისა და
ნქანა-მოწყობილობების გამოყენება ასევე
რმოშობს ხანძრის, ნგრევის და სხვა რისკებს. ჩვენ
მუშავებული გვაქვს
ნძარსაწინააღმდეგო და მანქანა-მოწყობილობების
მოყენების უსაფრთხოების
ოცედურები. ამ კუთხით ჩვენი სტანდარტები
საბამისობაშია ისეთი საერთაშორისო
რგანიზაციების ტექნიკური უსაფრთხოების
თხოვნებთან, როგორიცაა, მაგალითად,
CE. იმისთვის, რომ შევამციროთ/აღმოვფხვრათ
ქნიკური რისკების გავლენა, ჩვენ
ხორციელებთ მანქანა მოწყობილობების
სარგებლო გამოყენების ვადების მართვას
ვატარებთ შესაბამის სარემონტო სამუშაოებს.

ინფორმაციო ტექნოლოგიების რისკები :

ენი საოპერაციო/ბიზნეს პროცესების მზარდი
ამოკიდებულება ინფორმაციულ
ქნოლოგიებზე დაკავშირებულია პროგრამული
რუნველყოფის ან
ფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლის ან
ერგომომარაგების შეფერხების რისკის
ტენციური გავლენის მნიშვნელოვან ზრდასთან.
ტეშის გათიშვა, რომელიც
ძლება გამოწვეული იყოს, როგორც კიბერ
ტევების, ისე შიდა
ბიანების/შეფერხების შედეგად, შესაძლოა
მნინისტრაციულ პროცესებში
იშვნელოვანი პრობლემები წარმოშვას, რაც თავის
რივ, განაპირობებს ბიზნეს
ოცესების მნიშვნელოვან დაყოვნებას და
ამატებით ხარჯებს. კომპანიის მასშტაბით
ც შესაბამისი ორგანიზაციული და ტექნიკური
ებს გვაქვს მიღებული სისტემური
ცართაობის, მონაცემთა დაკარგვის და
ზაცემებით მანიპულაციის წინააღმდეგ
ზაცემთა დაცვის და საინფორმაციო
ქნოლოგიების მართვის გაძლიერების მიზნით,
ს დამატებით ღონისძიებებს მივმართავთ
ცემთა დაარქივებისთვის, რაც
ლებს ჩვენს მდგრადობას კიბერ შეტევების
მ. II ინფრასტრუქტურისთვის
ნებებთ, როგორც მიდა ხელფასს, ასევე გარე
ებს

პოლიტიკურ/ეკონომიკური რისკები:

პოლიტიკური/ეკონომიკური რისკი ეს არის რისკი, რომ კომპანიამ შესაძლოა განიცადოს ზარალი ქვეყანაში პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის შედეგად, რაც შეიძლება განპირობებული იყოს ხელისუფლების ცვლილებით, არასტაბილური კანონმდებლობით, ინვესტირებისთვის არახელსაყრელი პოლიტიკით და სხვა პოლიტიკურ-ეკონომიკური ფაქტორებით. აღნიშნული რისკი ჩვენს საქმიანობასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ვინაიდან ჩვენი შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ჩვენს მიერ ორგანიზებული გამოფენების საერთაშორისო მონაწილეები. საქართველოს პოლიტიკურმა თუ ეკონომიკურმა გარემომ შესაძლოა გავლენა მოახდინოს მათ საინვესტიციო გადაწყვეტილებებზე და შესაბამისად, მათ ინტერესზე ჩვენი მომსახურების მიმართ. ჩვენი რისკების მართვის პოლიტიკა, ამ რისკის პოტენციური გავლენის შესამცირებლად, მიმართულია ჩვენი მომხმარებლების პორტფელის დივერსიფიკაციაზე, რომ დაბალანსებული იყოს ადგილობრივი და საერთაშორისო ბაზრის წილი.

ფინანსური რისკები:

ჩვენს ბიზნესზე გავლენას ახდენს სავალუტო გაცვლითი კურსის ცვალებადობა, რადგან კომპანიას სესხი აღებული აქვს ევროში და მისი შემოსავლის და ხარჯების ნაწილიც ასევე უცხოურ ვალუტაშია. კომპანიის პოლიტიკის მიზანია, რომ შეამციროს სავალუტო რისკი. ჩვენი სტრატეგია - გამოფენებში მოვიზიდოთ უცხოელი კლიენტები და უძრავი ქონების ფასები განვსაზღვროთ მყარ ვალუტაში, როგორიცაა ევრო - ამცირებს სავალუტო რისკს. უცხოური ვალუტის რისკის პოტენციური გავლენა წინასწარ არის ასახული ბიუჯეტში და შესაბამისი ვალუტის რეზერვი არის შექმნილი. გარდა ამისა, კომპანია გამოიმუშავებს შემოსავალს შესაბამის უცხოურ ვალუტაში. საჭიროების შემთხვევაში, სავალუტო რისკები დაზღვეულია ფორვარდული ტრანზაქციებით, რომლებსაც ვახორციელებთ მხოლოდ ჩვენი მომსახურე ბანკების მეშვეობით. მიდა რეგულაციები და სახელმძღვანელოები აწესებს სავალდებულო ჩარჩოს და განსაზღვრავს შესაბამის პასუხისმგებლობებს გადახდებთან, ინვესტიციებთან და ჰეჯირებასთან დაკავშირებით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ფინანსური ვალდებულებები უცხოურ ვალუტაში გვაქვს. სავალუტო რისკთან შედარებით, საპროცენტო განაკვეთის ცვლილების რისკის გავლენა მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საპროცენტო განაკვეთი დაკავშირებულია Euribor (Euro Interbank Offered Rate)-თან. ჩვენ რეგულარულად ვახდენთ ლიკვიდობის რისკების იდენტიფიცირებას და ვითვალისწინებთ ფულადი ნაკადების დაგეგმვისას. საკრედიტო რისკის გავლენა კომპანიის საქმიანობაზე არ არის მნიშვნელოვანი, რადგან კომპანიაში რეგულარულად ხდება დებიტორული დავალიანებების მონიტორინგი.

ıიზნეს შედეგები

აქმიანობის ძირითადი მაჩვენებლები

ენს ბიზნეს საქმიანობას ვაფასებთ შემდეგი
ინანსური და საოპერაციო მაჩვენებლებით:

ირითადი საოპერაციო მაჩვენებლებით

118 წლის საოპერაციო შედეგები:

	2016	2017	2018
ონფერენციები	74	69	60
ამოფენები	8	8	10
ორპორატიული ღონისძიებები	10	6	2
ატანითი ონისძიებები	15	23	22
ხვა (პარკინგის ადგილის ქირავება, კლიპის გადაღება ა სხვა)	7	8	9
ელ	114	114	103

ოგორც ცხრილიდან ჩანს, 2018 წელს კომპანიამ
ჰასპინძლა 10 გამოფენას, მათ შორის
ყო-ორი ახალი გამოფენა - თბილისის ხელოვნების
ბაზრობა და სკოლების გამოფენა.
017 წლის შედეგების მიხედვით, გამოფენებზე
ზიტორთა რაოდენობა 9%-ით
იზარდა, 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით.
018 წელს „ექსპო ჯორჯია"-ს მიერ
რგანიზებულ გამოფენებს ჯამში დაახლოებით 80
0 დამთვალიერებელი ესტუმრა,
აც 2017 წლის მაჩვენებელს 29%-ით აღემატება. 2018
ელს გამოფენებში 350
ერთაშორისო მონაწილე დაფიქსირდა. აღნიშნული
ჩვენებელი 60-ით აღემატება 2017
ლის გამოფენებში საერთაშორისო მონაწილეთა
აოდენობას.
018 წელს ორგანიზებული ღონისძიებების მიხედვით
ოციალური კლიენტების
ჩვენებელი გაუმჯობესდა 2016-2017 წლის შესაბამის
ჩვენებელთან შედარებით და
ადგინა 40%.
ველი გამოფენის შემდეგ, ჩვენ ვატარებთ
ონისძიების მონაწილეთა და ვიზიტორთა
აყოფილების კვლევას. 2017 წელს, გამოფენებში
ონაწილეთა საშუალო
აყოფილების დონე შეადგენდა 81%-ს, ხოლო
018 წელს ეს მაჩვენებელი გაუმჯობესდა
ა შეადგინა 85%.
აც შეეხება ვიზიტორთა კმაყოფილებას,
ამოკითხვების
შედეგების მიხედვით 2017 და
018 წლებში ვიზიტორთა
საშუალო კმაყოფილების
ნდე შეადგენდა,
ებისას,
ლი და 84%-ს.

თბილისის ხელოვნების ბაზრობა

თბილისის ხელოვნების ბაზრობამ, რომელიც
მიმდინარეობდა 4 დღის განმავლობაში, 8
000-ზე მეტ დამთვალიერებელს უმასპინძლა.
ბაზრობაზე კერძო კოლექციონერებზე
გაყიდვების სოლიდური მაჩვენებელი დაფიქსირდა.
დამთვალიერებელთა შორის იყო
მრავალი საერთაშორისო და ადგილობრივი მუზეუმის
წარმომადგენელი, ხელოვანი,
კოლექციონერი, ხელოვნების კრიტიკოსი, კურატორი
თუ დილერი მსოფლიოს
სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორიცაა აშშ, დიდი
ბრიტანეთი, ავსტრია, პოლონეთი,
უნგრეთი, გერმანია, საფრანგეთი, ბელგია, რუსეთი,
სომხეთი, ირანი, თურქეთი,
უკრაინა, აზერბაიჯანი და არაბთა გაერთიანებული
საამიროები.
ბაზრობაზე წარმოდგენილი იყო გალერეები,
იხსტალაციები, მსხვილი არაკომერციული
გამოფენები და მოეწყო საუბრები ხელოვნებაზე.
ღონისძიებაში მონაწილეობდნენ
დამოუკიდებელი ხელოვანები მსოფლიოს 15
ქვეყნიდან. ბაზრობა მოეწყო „ექსპო
ჯორჯია"-ს 7 პავილიონში, ჯამური ფართობით - 20

სკოლების გამოფენა

2018 წელს პირველად ჩატარდა საშუალო განათლების
გამოფენა, სადაც
მონაწილეობა მიიღო 38-მა კერძო და საჯარო
სკოლამ, უცხო ენის ცენტრმა, სასკოლო
წიგნების გამომცემელმა და ა.შ.
გამოფენა მოეწყო კომპანიის ტერიტორიაზე, ჯამური
ფართობით 748 კვ.მ. ღონისძიებას
ესტუმრა სულ 4 130 დამთვალიერებელი, მათგან 98%
ადგილობრივი
დამთვალიერებელი იყო, ხოლო 2% - უცხოელი.
გამოფენის მონაწილეთა გამოკითხვის შედეგების
მიხედვით, რესპოდენტთა 88%-მა
დააფიქსირა, რომ გამოფენამ მიაღწია მიზანს და
დაკმაყოფილდა დამთვალიერებელთა
რაოდენობით.



ითადი ფინანსური მაჩვენებლები

ი ცხრილი წარმოადგენს 2018 წლის 31 დეკემბრის
არეობით კომპანიისფინანსურ მაჩვენებლებს



ის მაღალი კონტრიბუციის მარჟა და მოგება, პროცენტის, გადასახადის და ცვეთის გამოკლებამდე
ობებული იყო OSCE-ის ღონისძიების შემოსავლით, ჯამურად 2,452,186 ლარი. ამ ღონისძიების
არებულების უდიდესი ნაწილი კაპიტალური ხარჯი იყო და 1 000 000 ლარს აღემატებოდა. იმის გამო, რომ
ზარალის უწყისი მხოლოდ პირდაპირ ხარჯებს ასახავს, ამ ღონისძიების ხარჯი მნიშვნელოვნად ცვლის
მაჩვენებლებს.

ალი ბიზნეს მიმართულებების მიხედვით:

	2016 €'000	2017 €'000	2018 €'000	პროგრესი/რეგრესი	
				2016/2017	2017/2018
ის გამოფენიდან	2.402	2.579	3.462	0.07	0.34
ის იჯარიდან	2.311	1.943	1.697	-0.16	-0.13
ის ღონისძიებების იდან	4.068	1.010	1.054	-0.75	0.04
შემოსავალი	8.781	5.532	6.213	-0.37	0.12

ს თბილისის ხელოვნების ბაზრობის ორგანიზების დასაფინანსებლად ჩვენ მივიღეთ სახელმწიფო გრანტი,
არის ოდენობით, რამაც განაპირობა შემოსავლების ზრდა. თუმცა მიუხედავად სახელმწიფო მხარდაჭერისა,
პირველ წელს ზარალის მომტანი იყო, შედეგად, კონტრიბუციის მარჟა 2017 წელთან შედარებით შემცირდა.
ს შემოსავალი იჯარიდან შემცირდა იმის გამო, რომ ჩვენ კონტრაქტები შევუწყვიტეთ მცირე შემოსავლიან
ებს და დავიწყეთ საიჯარო პავილიონების რემონტი. 2018 წელს რემონტის ხარჯი 100%-ით გაიზარდა.


ფაქტორმა ერთჯერადად გამოიწვია საიჯარო შემოსავლის შემცირება და ხარჯების გაზრდა, თუმცა უნდა
ის, რომ 2019 წლის იჯარიდან მიღებული 8 თვის შემოსავალი 2018 წლის წლიური შემოსავლის 85%-ს
.

სად, საოპერაციო მოგების შემცირება გამოიწვია იჯარის კონტრაქტების დროებით გაუქმებამ, რემონტის
გაზრდამ, საინფორმაციო ტექნოლოგიების სისტემების განახლების ხარჯებმა და ზარალმა თბილისის
ების ბაზრობიდან.

იანობასთან ავშირებული სხვა ვები

ალური პასუხისმგებლობა

ობაზე ზრუნვა ყოველთვის წარმოადგენდა იორიტეტს. ამ მიმართულებით ჩვენს მთავარ რებად მივიჩნევთ პარკს, რომლის გაშენება ლება 25 წლის მანძილზე ხდებოდა. შექმნის პარკი ღიაა საზოგადოებისთვის. პარკის აფარის ფართი დაახლოებით 30 000 კვ.მ.-ს ს და კომპანია ყოველწლიურად სოლიდურ ხარჯავს მისი მოვლისთვის.
იციალური პასუხისმგებლობის ასევე ლოვანი ნაწილია თანამშრომლებისა და რებლების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა. ბთ რა პასუხისმგებლობას კომპანიაში ხო და ჯანსაღი გარემოს შექმნაზე, ვიცავთ ის ნორმებს ჩვენს ბიზნეს პროცესებში. ერ სამუშაოებში ჩართული თანამშრომლები ულყოფილნი არიან ჯანმრთელობის ვის ისეთი პროგრამით, სადაც ისწინებულია უბედური შემთხვევის ვა. დამთვალიერებლები კომპანიის მიერ ბებულ ღონისძიებებზე ინფორმირებულნი რომ დაიცვან უსაფრთხოების მოთხოვნები. ანდაცვის და უსაფრთხოების კუთხით ლი ზომებისა, კომპანია ასევე იცავს კვების ხოებასთან დაკავშირებით კანონმდებლობით ილ მოთხოვნებს. კომპანიაში არსებული იკებისა და პროცედურების გადახედვა ხდება, ც რეგულარულად, ასევე საკანონმდებლო ვნებში ცვლილებების საპასუხოდ.
ესმის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია აში ასაკოვანი თანამშრომლები, რაც ხაზს დასაქმების მდგრადობას - თანამშრომლებს ათ კომპანიაში იშუამაო მომავალშიც. 2018 ომპანიაში დასაქმებული იყო, საშუალოდ, 85 ი, მათ შორის, 10 თანამშრომელი 60 წელს ასაკისაა.
ბემოთ ხსენებული ღონისძიებებისა, ჩვენ ნლიურად ვახორციელებთ მცირე ოქმედებას ობოლი და შეზღუდული ებლობის მქონე ბავშვების, თბილისში ჩვილ ა სახლის დახახმარებლად და სხვა მოქმედო მიზნით.



კვლევები და განვითარება

ახალი იდეის განხორციელებამდე ჩვენ ვატარებთ ბაზრის კვლევას, რათა გავიგოთ ინფორმაცია ჩვენი სამიზნე აუდიტორიის შესახებ, განვსაზღვროთ შესაბამისი ფასები და მოთხოვნა შესათავაზებელ პროდუქტზე.
როგორც აღვნიშნეთ, 2018 წელს „ექსპო ჯორჯია"-მ ორგანიზება გაუწია ახალ გამოფენას - სკოლების ბაზრობას, რომელიც მომზადდა ძირეული ბაზრის კვლევის და მომხმარებელთა ანალიზის შემდეგ. კვლევის დროს შემუშავდა ახალი მიდგომები გამოფენების ორგანიზების კუთხით და კლიენტებზე უფრო მეტად მორგებული მომსახურების სისტემა დაინერგა.

ნ ჯანგულაშვილი:
ური დირექტორი

რესანი ქიქავა:
აღმასრულებელი დირექტორი

ველობის ანგარიშგება მომზადებულია GEC-ის მიერ

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი	N191199603
სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის თარიღი	30.09.2019 წ
სანოტარო მოქმედების დასახელება	დოკუმენტის თარგმანზე დიპლომირებული მთარგმნელის ხელმოწერის დამოწმება
ნოტარიუსი	ნარგიზა ჯანხოთელი
სანოტარო ბიუროს მისამართი	თბილისი რუსთაველის გამზ. 18
სანოტარო ბიუროს ტელეფონი	032 2 990506
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი	83881836466019

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

მე, ნოტარიუსი ნარგიზა ჯანხოთელი, რომლის სანოტარო ბიურო მდებარეობს მისამართზე: ქ. ბილისი, რუსთაველის გამზ. №18, ვამოწმებ დიპლომირებული მთარგმნელის თამარ იოსებაშვილის ქაბადებული 15.09.1986 წელს, რეგ. მისამართი: ქ. ახმეტა, ალ. ყაზბეგის ქ. №14, პირადი №08001008420, სპორტის №10BA13941) ხელმოწერის ნამდვილობას. მთარგმნელი გაფრთხილებილია, რომ პასუხს აგებს არგმანის სიზუსტეზე და იგი იძლევა თარგმანის სისწორის გარანტიას. ხელმომწერის ვინაობა და ქედუნარიანობა შემოწმებულია.

I, the notary Nargiza Jankhoteli, whose notary office is located at the address: №18 Rustaveli Ave. bilisi, notarize herewith the authenticity of signature of certified translator Tamar Iosebashvili (born on 5.09.1986, reg. address: Akhmeta, №14 Al. Kazbegi Str. personal №08001008420, passport №10BA13941). he translator is warned about her responsibility for the correctness of the translation and she guarantees ıe correctness of the translation. Identity and effectiveness of the signer person are checked.

ხელმოწერა შესრულებულია თარგმანის ყველა გვერდზე. All pages of the translation are signed.

გადახდილია საზღაური, „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და ომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 29.12.2011 წლის №507 დადგენილების 31-ე მუხლის შესაბამისად, 84.00 ლარი, აგრეთვე დღგ, საქართველოს საგადასახადო ოდექსის 169-ე მუხლის თანახმად, 15.12 ლარი, ასევე სანოტარო მოქმედების ელექტრონულ სანოტარო რეესტრში რეგისტრაციის საფასური, ამავე დადგენილების 39-ე მუხლის შესაბამისად, 2.00 ლარი, სულ .01.12 ლარი.

Fee is paid, 84.00 Gels according to the article 31 of Georgian Government Resolution №507 “On ıpproval of notary action fee and volume of fees established for Notary Chamber of Georgia, the rules of its ɔayment and service period”, dated 29.12.2011; also VAT 15.12 Gels, according to the article 169 of Tax Code of Georgia and also 2.00 Gels, fee for registration of the notary action in the electronic register according to the article 39 of the same resolution, totally 101.12 Gels.

ნოტარიუსი: ნ. ჯანხოთელი